პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წელიწადი პეოლა

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომი-ტეტის და სრულ. საქართ. მ., ბ., წ.-არმ. და მაბარკოსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4.
მთავარი პანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე 2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14 76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ერთიანეულნი ბიბლიოთეკა

ფასი 10,000 მან.

პროვინციაში 12,000 მან.

№ 135 შაგათი, 17 ივნისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი შაგათი, 17 ივნისი 1922 წ. № 135

ორშაბათს, ივნისის 19-ს, საღამოს 6 საათზე, სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება

ტფილისის ქალაქის საბჭოს პლენუმის სხდომა

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პლენუმისა, კავშირების ცენტრალურ მმართველობის, ფაბრიკა ქარხნების კომიტეტებისა და ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად

დღის წესრიგი:

1) ამხ. ბუდუ მდივანის მოხსენება გენუის კონფერენციის შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

საკითხების მნიშვნელოვანობის გამო, ყველა წევრთა და კანდიტატების თავის დროზე გამოცხადება სავალდებულოა.

სხდომა შესდგება რამდენი წევრიც არ უნდა შეიკრიბოს.

მდივანი **მესხი.**

პარტიული კონფერენციისათვის

მიმდინარე თვის ოცდაოთხისთვის დანიშნულია თბილისში საქართველოს კომპარტიის კონფერენცია, რომლის დღის წესრიგში სდგას შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება რუსეთის კომპარტიის მე XI ყრილობის შესახებ; 2) მოხსენება ადგილებიდან; 3) ფინანსიური პოლიტიკა; 4) მუშაობა ახალგაზრდათა შორის; 5) მუშაობა პროფკავშირებში; 6) პარტიული აღმშენებლობა; 7) სხვა და-სხვა კითხვები. ამ ღღის წესრიგის უკვე ზერელე თვალის გადავლებითაც აშკარა არის უაღრესი მნიშვნელობა, რომელიც ექნება კონფერენციას პარტიის ყოველდღიური საქმიანობისათვის ახლო მომავალში. თუ ყრილობა უზენაესი ორგანოა და, ასე ვსთქვათ, კანონმდებელი პარტიის, არა ნაკლებ **პრაქტიკულ** მნიშვნელობას იძენს, განსაკუთრებით ზოგიერთ მომენტებში, მისი ორგანიზაციების კონფერენცია, რომელიც მოწოდებულია შეასრულოს რამოდენიმეთ, თუ ამას დრო და გარემოება მოითხოვს, როლი ამ კანონმდებელის მორიგი ყრილობათა შუა პერიოდებში. ჩვეულებრივ მისი უმთავრესი მიზანია კოლექტიური პარტიული აზროვნება სინათლეზე გამოიტანოს და გაითვალისწინოს გარკვეული პერიოდების პრაქტიკა, ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობა, მათი დადებითი მიღწევანი ან შემცდარი ნაბიჯები და გადახრანი, თუ ასეთებს ადგილი ჰქონდა ყრილობის მიერ მიცემული დირექტივების თვალსაზრისით. და ეს, რასაკვირველია, არა მარტო ვიწრო პარტ-პოლიტიკური, არამედ სახელმწიფოებრივი მუშაობის მრავალმხრივ სფეროებში, ერთი სიტყვით ყველგან, სადაც აუცილებელია მისწვდეს მისი ხელი, როგორც მმართველი პარტიის, როგორც ქვეყნის მესვეურის. ვამორკვევა იმისი, თუ რა გაკეთდა უკანასკნელი პარტიული ყრილობის შემდეგ და რაც გაკეთდა, რამდენად შეესაბამება ის ამ ყრილობის მიერ მთელი პარტორგანიზაციებისათვის გადაცემულ ნაკაზს—აი ის ერთი უმთავრესი ფუნქცია, ფუნქცია ასე ვსთქვათ საკანტროლო, ამ სიტყვის ფართო და პოლიტიკური მნიშვნელობით, რომელიც უნდა ჩაატაროს კონფერენციამ. აშკარაა როგორ მნიშვნელობას იძენს ამ აზრით მოხსენებები ადგილებიდან, რომლებმაც უნდა გადაუშალოს პარტიას სურათი მთელი მუშობის თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში. ამ მასალის მიხედვით შესაძლებელი იქნება გაგება არა მარტო იმის თუ რა ან როგორ გაკეთებულა პარტყრილობის შემდეგ; არამედ ეს იქნება იმავე დროს უტყუარი საზომი ჩვენი პარტორგანიზაციის შინაური მდგომარეობის, მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეების და ამისდამიხედვით მოგვიხდება მომავალში ხელმძღვანელობა პარტიული აღმშენებლობის სფეროში.

როგორი მნიშვნელობისაც არ უნდა იყოს ეს ნაწილი მომავალი პარტკონფერენციის მუშაობის, ის ვერ დაჩრდილავს დანარჩენ კითხვებს, რომლებიც აღნიშნული არიან მის დღის წესრიგში.

მიმდინარე მომენტი თუ არ აყენებს ჯერ ჯერობით ახალ კითხვებს ყოველ შემთხვევაში ის მწვავე ხასიათს აძლევს ძველებს და ამნაირათ ხელახლა თავს უყრის მათ ირგვლივ ყურადღებას ჩვენი პარტიისას. ერთი უძნელესი და უმნიშვნელოვანესი მათ შორის არის, ეჭვს გარეშეა, ფინანსიური საკითხი. ზომები ფულის ფასის აწევის და მისი განმტკიცების, საკითხი ემისიის შესუსტების, გადასახადების სისტემისა და ნორმალური ბიუჯეტის შექმნის—ყოველივე ეს უნდა გაშუქებული იქნას ახალი მასალებით ხელში, ახალ შესაძლებლობათა მიხედვით. ყოველი ინიციატივა ქვეყნის მეურნეობის აღდგენის საქმეში გზაზე ეხეჩება ბოლოს და ბოლოს ჩვენი შინაური რესურსების, ჩვენი ფინანსების მდგომარეობის საკითხს. რაციონალური, ე. ი. არა „საემისიო მეურნეობის“ ნიადაგზე დაყრდნობილი, ფინანსიური ზომების გარეშე შეუძლებელია გაჯანსაღება ქვეყნის დაავადებული ეკონომიკის. გამონახვა ამ ზომების ახალი გამოცდილებათა მიხედვით, უფრო ენერგიული გატარება ისეთების, რომლებიც უკვე მიღებული იყო სახელმწიფოებრივი მუშაობის პრაქტიკაში დღემდი—ყოველივე ეს მიიპყრობს კონფერენციის გულისყურს და ჰპოებს თავის გარკვეულ გადაწყვეტილებას.

პარტიულ კონფერენციას მოუხდება ამასთან ერთათ შეეხოს ერთ დიდ ამოცანათაგანს ჩვენი პარტიული მუშაობისას, სახელდობრ მუშაობას პროფესიონალურ კავშირებში. ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით ამ კავშირების მდგომარეობა გაძნელდა, მათი მოვალეობა გართულდა, სინამდვილე თანდათან აყენებს მათ პირისპირ კერძო მწარმოებლის, კერძო კაპიტალის წინ. ის უბრუნდება თავის ძველ ჩვეულ როლს თვით დღევანდელი პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში, როდესაც კერძო თაოსნობა და კაპიტალისტური „საქმიანობა“ კვლავ ძალაში შედის გარკვეულ ფარგლებში. ეს აყენებს ჩვენ პროფკავშირებს რამოდენიმეთ თავიანთ ძველ მდგომარეობაში და საჭიროებს მათგან სათანადოთ მთელი აპარატის აწყობასა და იმუშავებას. ამ მუშაობაში პარტიამ უნდა მიიღოს ხელმძღვანელი მონაწილეობა თანახმათ ყრილობის გადაწყვეტილებისა. საჭიროა არა მარტო გაუკეთდეს ამ მხრივ ჯამი უკვე გაკეთებულს და მიღწეულს, არამედ ახალი პრაქტიკის შუქის ქვეშ განხილულ იქნეს ის დაბრკოლებანი, რომლებიც წინ უდგეს ჩვენი ორგანიზაციების საწარმოოთ საქმოოთ მოდუნებულ მუშაობას ამ სფეროში. თუ როდისმე ყოფილა საჭირო მეტი ყურადღება ამ ორგანიზაციებისადმი, ეს უეჭველათ და მეტი სამართლიანობით ითქმის დღეს, სწორეთ ახალი პოლიტიკის გაგძელების ხანაში.

არა ნაკლებ სიძნელეს წარმოადგენს და საპასუხისმგებლო მუშაობა ახალგაზრდათა შორის, რომელ საკითხსაც შეეხება ჩვენი მომავალი კონფერენცია. მას აქვს ორი მხარე, ორივე სათანადოთ გაშუქებული სხვათა შორის საქ. ახალგაზრდათა კომკავშირის ეხლახან დათავებულ ყრილობაზე: მხარე ეკონომიური და პოლიტიკური. რამდენადაც ლაპარაკია პირველზე, აქ ჩვენ საქმე გვაქვს არსებითად იგივე ხასიათის საკითხთან, როგორის მოგვარება დასჭირდება პარტიას პროფკავშირებთან ერთათ, როდესაც საქმე შეეხება შრომის პირობებს და შრომის ინტერესების დაცვას. მშრომელი ახალგაზრდობის შრომის პირობები მეტათ მძიმეა. ექსპლოატაცია იქ პოულობს უფრო „დაბალ ლობეს“. ეს მდგომარეობა უნდა შეწყდეს. მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია პოლიტიკური მხარე საკითხის, ჩვენ ახალგაზრდობაში კულტურულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობა და იქ პოლიტიკური გავლენის საკითხი. ამ მხრით ჩვენ საკმაოთ მაჩვენებელი მასალა მოგვეპოება ამ უკანასკნელი თვეების გამოცდილებიდან. აქედან—განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც საჭიროა მოეთხოვოს ამ მუშაობისადმი ჩვენ ახალგაზრდათა კომკავშირს და დახმარება, რომელიც უფლება აქვს მოითხოვოს პარტიისაგან ამ უკანასკნელმა თავის მოვალეობის შესასრულებლათ.

კონფერენციამდე დარჩა დაახლოვებით ათი დღე. ეს დრო უნდა მოხმარებულ იქნეს ადგილობრივი ორგანიზაციების მოსამზადებლათ მისთვის, რომ კონფერენციამ მიიღოს თავის მუშაობისთვის საკმაოთ მომზადებული ამხანაგები ადგილებიდან, რათა პარტიამ ამოსწუროს მათი ინფორმაციიდან და ადგილების პრაქტიკიდან ახალი საშუალებანი თავისი მუშაობის კვლავ უფრო გასაძლიერებლათ და საჭირბოროტო კითხვებზე სათანადო პასუხების გასაცემათ.

გენუის შედეგები

I.

ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის მეურნეობის აღორძინება

რამდენადაც გენუის კონფერენციას საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი და ნაწილობრივ მუშათა კლასი უყურებდა როგორც კონფერენციას, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპის სამეურნეო ორგანიზმის აღდგენას,—იმდენად ცხადი იყო იმთავითვე, რომ გენუის გამარჯვების თუ დამარცხების გამოსარკვევად ძირითად ფაქტს წარმოადგენდა ამერიკის შეერთებულ შტატების დამოკიდებულება მისადმი. ამერიკის **შეერთებულ შტატებს** მონაწილეობა არ მიუღიათ, და მიუხედავათ ზოგიერთი იმედისა, რომელიც აღძრა ამერიკის კაპიტალის გავლენიან წარმომადგენლების დასწრებამ **გენუაში**, ის (ამერიკა) **გენუის შემდეგაც არ ფიქრობს მიიღოს, რა გორც სახელმწიფომ, მონაწილეობა ევროპის მეურნეობის აღდგენაში.** ეს ფაქტი აიხსნება საკმაოდ მძიმე მდგომარეობით ამერიკის ფინანსების, რომელიც დამძიმებულია ევროპისათვის ნასესხებ ათი მილიარდი დოლარით. **მაგრამ ამერიკის კერძო ფულის ბაზარიც უდიდესი სიფრთხილით ეკიდება ევროპას.** საკმარისია გავიხსენოთ, რომ მაშინ, როცა შუა და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებმა ან კანადამ შესძლეს წარსულ წელს აღოთ ამერიკის ფულის ბაზარზე სესხი ხუთ ან ხუთნახევარ პროცენტად, ჰოლანდია-ამერიკის გემთმიმოსვლის კომპანია იძულებული იყო გადაეხადა 6,90 პროც., რკინის გზის საზოგადოება-პარიზ ლიონი—7,25 პრ ჩეხია-სლოვაკიის სახელმწიფო—8,30 პროც., სამხრეთ-სლავიამ მიიღო 100 მილიონი დოლარი ნავთსადგურების და რკინისგზების ასაშენებლად, რაც ესაჭიროება ამერიკის კაპიტალს ბალკანეთისკენ გზის გასაკაფად,—**კურსით** 85 და 9 პროცენტის გადახდით. ეხლანდელი მოლაპარაკება მარგანის ჯგუფისა სარეპარაციო კომისიასთან **სესხის შესახებ გერმანიისათვის** არ ცვლის ამ სურათს. პირველი, გამორკვეული არ არი, თუ რით გათავდება ეს მოლაპარაკება. ამერიკის კაპიტალი მზად არის მისცეს გერმანიას ერთგვარი სესხი, მაგრამ ის მოითხოვს, რათა პირველი, გერმანიის ვალდებულებათა ჯამი მოკავშირეების მიმართ საგრძნობლად იქნას შემცირებული, მეორე, რათა სესხის ნაწილი მოხმარდეს გერმანიის წარმოების აღორძინებას და მით ამ ქვეყნის მყიდველობითი ძალის აწევას. ძნელი წარმოსადგენია, რომ საფრანგეთის მთავრობა, თავის უდიდეს ფინანსიურ გაჭირვების პირობებში, დასთანხმდეს გერმანიის ანაზღაურებათა ასეთ შემცირებაზე. მეორე, ამერიკის კაპიტალის დამოკიდებულება გერმანიისადმი განსაკუთრებულია. ამერიკის ფინანსიურ ჟურნალის „Lournal ot Commerce“-ს ნომერში, რომელიც მიძღვნილია ევროპის აღდგენის, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი **ზელიგმანი** აცხადებს ამის შესახებ: „ვერმანია არის მეორე ევროპელი მყიდველი ამერიკის ბაზარზე. **ის ყიდულობდა ამერიკაში იმდენს, რამდენსაც ყიდულობდა ევროპის მთელი დანარჩენი კონტინენტი**; ამ თვალსაზრისით შეერთებულ შტატების დამოკიდებულება ევროპისადმი, ესაა, პირველ რიგში, მისი დამოკიდებულება გერმანიისადმი.“

სულ სხვაგვარია შეერთებულ შტატების დამოკიდებულება რუსეთისადმი. ეკონომიური თვალსაზრისით—აღნიშნავდა **გუვერი** თავის უკანასკნელ სიტყვაში—რუსეთი, როგორც გამსაღებელი ბაზარი, ომის წინდაც მცირე როლს თამაშობდა ამერიკულ ექსპორტში: ასახელებს რიცხვს—30 ათას მუშას, რომელნიც ამერიკაში მუშაობდნენ რუსეთის ბაზრისათვის. პოლიტიკურ მომენტებს, როგორიცაა **რუსეთის მნიშვნელობა ევროპის წონასწორობის სისტემაში, სამხედრო ძალების განწყობილებაში**, რომელნიც თამაშობენ დიდ როლს რუსეთის საკითხის შეფასებაში—მაგალითად, ინგლისში, ასეთი მნიშვნელობა არა აქთ ამერიკისათვის, რომელსაც არ გააჩნია საბოლოოდ ჩამოყალიბებული ევროპიული პოლიტიკა და უკავია მოლოდინის პოზიცია ინგლის-საფრანგეთის კონფლიქტშიაც. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მაშინ, როცა გერმანიის ანაზღაურების საკითხში ამერიკა უახლოვდება უფრო ინგლისს, ვინემ საფრანგეთის პოლიტიკას, რუსეთის საკითხში ამერიკის პოლიტიკა უფრო ახლოსაა საფრანგეთის პოლიტიკასთან. იმის მტკიცება, რომ ვაშინგტონის კონფერენცია ნიშნავდა ინგლისის და ამერიკის პოლიტიკის საბოლოო და საერთო შეთანხმებას,—გამოხატავდა უფრო პრესის ხმაურს, რომლის მიზანი იყო იაპონიის დაშინება და მისი იძულება დათმობაზე,—ვინემ სინამდვილეს. მთავარ აზარმაცს („ბრიჩგ“) შეერთებულ შტატების ეხლანდელ დამოკიდებულების შეცვლისა რუსეთისადმი, მის აქტიურ პოლიტიკას შორეულ აღმოსავლეთში ჯერ კიდევ არ დაუწყია მოქმედება.

ამერიკის პოლიტიკის საერთო დამოკიდებულებას ევროპისადმი გენუის შემდეგ, სწორად ახასიათებს „ტაიმსის“ კორესპოდენტი, როცა 29 მაისის თარიღით წერს: „სრულიად წარმოუდგენელია რომ ამერიკის მთავრობა დასთანხმდეს, აღმოუჩინოს რუსეთს ფინანსიური დახმარება. ამერიკის კრედიტებს, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას ევენტუალურად რუსეთის აღდგენისათვის, ექნება კიდევ ხასიათი და არ დაიმყარება სახელმწიფოებრივ გარანტიებს არც პირდაპირ, არც არა პირდაპირ. სწორედ აგრეთვე ამერიკის ახლანდელ მთავრობას არავითარი განზრახვა არა აქვს ითამაშოს მხსნელის როლი ევროპის მიმართ. არ უნდა მოვლოდეთ, რომ ასეთ როლს იკისრებს ამერიკის, რომელიც არ უნდა იყოს მთავრობა; სახელმწიფო მდივანმა გუვერმა ხომ განაცხადა თავის უკანასკნელ სიტყვაში, რომ ამერიკის მომავალი სახელმწიფოებრივი სესხის იმედი ყველაზე უფრო უსაფუძვლოა“.

II

ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობანი.

ევროპის აღორძინების საკითხი, რამდენადაც ლაპარაკია კაპიტალისტურ სახელმწიფოების შეგნებულ ლონისძიებებზე, აღმოჩნდა ამგვარად სავსებით დამოკიდებული ინგლის-საფრანგეთის ურთიერთი დამოკიდებულებისაგან. ეს დამოკიდებულება გამოაშკარავდა მსოფლიოს წინაშე გენუაში მისი ნამდვილი სახით, თუმცა ინგლის-საფრანგეთის დავის კონკრეტული პირობები დაჩრდილული იყო ზოგანი ფრაზებით. წინააღმდეგობანი შემდეგია: ახლობელ აღმოსავლეთში საფრანგეთი იწყებს ომსმალეთის შიკრების ძველ გერმანულ პოლიტიკას, რათა ომსმალეთის ბლოკი ყოფდეს ინგლისის იმპერიის აფრიკის ნაწილებს აზიურ ნაწილებისაგან. გერმანიის მიმართ ინგლისი ცდილობს გერმანიის ანაზღაურებათა შემცირებას, რათა მიაღწიოს გერმანიის აღორძინებას, როგორც ინგლისის საქონლის მომხმარებლის და როგორც საფრანგეთის საწინააღმდეგო სამხედრო ძალის, საფრანგეთის, რომელიც ისწრაფვის სამხედრო ჰეგემონიისაკენ ევროპის კონტინენტზე. რუსეთის საკითხში ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობათ მხოლოდ გარეგნულად აქვთ პრინციპიალური ხასიათი: რუსეთში უცხოელების კერძო საკუთრების აღდგენის საკითხი საფრანგეთსა და ბელგიაში ისმებოდა არა სხვანაირად, ვინემ ინგლისში. საფრანგეთის ექსპერტების კომისია სედუს მეთაურობით შეუძლებლად სცნობდა უბრალო აღდგენას. საფრანგეთმა შესცვალა თავისი თვალსაზრისი, როცა გავრცელდა ხმები, რომ ნავთის წარმოებანი, რომელიც ომის წინედ საფრანგეთის კაპიტალისტებს ეკუთნოდა, საბჭოთა მთავრობამ გადასცა ინგლისის ნავთო კომპანიას. რადგან საფრანგეთს ნაკლები კაპიტალი მოეპოვება ევენტუალურ სესხისათვის, ვინემ ინგლისს,—საფრანგეთის კაპიტალს ეშინოდა, რომ კერძო საკუთრების უბრალო დაბრუნებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ის ვერ შესძლებდა რუსეთისაგან დათმობების მიღებას. ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობა რუსეთის საკითხში მდგომარეობს იმაში, თუ ვინ მიიღებს მეტს რუსეთში, და არა სხვა რამეში.

გენუის კონფერენციამ ვერ შეამცირა ინგლის საფრანგეთის წინააღმდეგობანი, ვინაიდან ვერ მოაგვარა ვერც ერთი სადაო საკითხი. მაგრამ ყოველგვარი ლაპარაკი იმაზე, რომ გენუამ თითქო მოსპო ანტანტა, წარმოადგენს ჟურნალისტურ გადაჭარბებას. ანტანტა გენუის წინადაც არ წარმოადგენდა ერთი პოზიციურ პროგრამის ს ხელმწიფოთა კავშირს. მისი მნიშვნელობა იყო ნეგატიური, უარყოფითი: ის იყო საშუალება, ინგლისის და საფრანგეთის შემჩერებელი შეტაკებისაგან, რომლის აცილება სურთ ორივე სახელმწიფოს. ანტანტა გენუის შემდეგაც ვერ გაქრება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ორივე სახელმწიფომ, რომელნიც იბრძვიან ჰეგემონიისათვის ევროპაში, არ იცოდნ, რით შესცვალონ ის. რომ ვაშინგტონის კონფერენციას მოყოლდა ინგლის ამერიკის საერთო შეთანხმება, ინგლისს შეეძლო გადაეწყვეტა საფრანგეთთან კავშირის გაწყვეტა სწორედ ისევე, რომ, პირიქით, ინგლის ამერიკის კონკურენციას გამოეწვია ამ ორ სახელმწიფოს მწვავე დაპირისპირება ისე, რომ საფრანგეთი გამხდარიყო ამერიკის „კოზირად“ ევროპაში,—საფრანგეთი შეეცდებოდა უკუეგდო მისი შემკავებელი ინგლისური აპეკა. მაგრამ ამერიკის დამოკიდებულება ევროპისადმი არის გამორკვეული, და ამიტომაც ვერ ირკვევა ორი მოქაბაპე, დიდი ევროპიელ სახელმწიფოს ურთიერთ დამოკიდებულებაც არ ძალუძთ რა მიაღწიონ შეთანხმებას და არც არიან რა მზად აშკარა შეტაკებისათვის,—საფრანგეთსაც და ინგლისსაც ძალა არ შესწევთ რაიმე მეყობრ მუშაობისათვის ევროპის სამეურნეო ორგანიზმის ასაღორძინებლად. ეკონომიურ დამოკიდებულებათა სფეროში, რომელიც მოითხოვს ვერსალის ხელშეკრულების რევიზიას და საბჭოთა რუსეთთან კომპრომისს, არ არი მოსალოდნელი რაიმე სწრაფი ძირითადი გადაწყვეტილებანი. პოლიტიკურ სფეროში, ევროპიულ კავშირთა სფეროში გაგრძელდება მოსამზადებელი მუშაობა. ინგლისმა, როგორც ეს გვ ჩვენა გენუამ, მოახერხა იტალიის დაკავშირება, მიუხედავად წინააღმდეგობათა ოსმალეთის საკითხში. ინგლისის ცდა, დაესუსტოს სეხის გზით საფრანგეთის გავლენა მცირე ანტანტის ქვეყნებში, გაგრძელდება თავისი წესით და რიგით. ძირითადი საკითხი ინგლისისათვის—საკითხი გერმანიასა და საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების,—შემდეგშიაც იქნება მწვავე ბრძოლის საგანი. მაგრამ, მიუხედავად ამ ჩუმი ბრძოლისა, ეჭვს გარეშეა, რომ ორივე მთავრობა შემდეგშიაც შეეცდებიან ერთმანეთს მოურიგდნენ. გამოსავლები არა მარტო გრეის, არამედ ასკვიტისაც, საფრანგეთთან შეთანხმების სასარგებლოდ, ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია. შიში ამ ევროპიულ ქაოსის გაძლიერების იმდენად დიდია, რომ ლიბერალებიც კი, საფრანგეთის მოწინააღმდეგენი, ეძებენ მასთან დაახლოვებას.

III.

შედეგები.

გენუის შედეგები ევროპის მეურნეობის აღორძინების მხრივ ფრიად განსაზღვრულია. არ არი მოსალოდნელი, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებმა მიიღონ რაიმე საერთო ზომები, რომელნიც საშუალებას მისცემენ ევროპის კაპიტალიზმს აღორძინდეს ახლო მომავალში. მაქსიმუმი, რაც მოგვცა კაპიტალისტურმა ევროპამ გენუის კონფერენციაზე,—ესაა ხელშეკრულება, რომ უახლოეს შვიდი თვის განმავლობაში მოკავშირენი არ გაანადგურებენ აღმოსავლეთ ევროპას ზარბაზნების საშუალებით. რუსეთის მიმართ ისინი ჯერ შეეცადენ მოეხვიათ მაზე პირობები, რომელნიც მას კოლონიად აქცევდნენ. საბჭოთა დელეგაციის წინააღმდეგობამ იძულებული გახადა ისინი უარი ეთქვათ სიტყვით ამ განზრახვებზე, მაგრამ ამასთან ახალი პირობები, წარდგენილნი საბჭოთა რუსეთისადმი, მიგვიყვანდა, რომ ისინი გატარდენ ცხოვრებაში, სრულ კოლონიალურ დამონებამდე. ვინაიდან, საბჭოთა რუსეთს რომ მიეღო ვალდებულება არა მარტო ვალების გადახდის, არამედ მის მიერ უცხოელ კაპიტალისტებისათვის მიყენებულ ზარალის ანაზღაურების, მაშინ როცა, სამაგიეროდ არავითარ დახმარებას არ ღებულობს რუსეთის მეურნეობის აღსადგენად, ამას სინამდვილეში მოყვებოდა რუსეთის სრული ეკონომიური დამონება. საქმიანი კაპიტალისტური პრესა, ჯამს უკეთებს რა გენუას ბრძოლას საბჭოთა რუსეთის მიმართ, აცხადებს, რომ სახელმწიფო სესხის მიღებას

ესერების პროცესი

მოსკოვი 16 ივნისი (რადიო). ბერლინიდან 12 ივნისის თარიღით იტყობინებიან: ესერების პროცესმა გერმანიაში დიდი ინტერესი გამოიწვია. მენშევიკების პრესის ცილისწამებას ჯარყოფს გაზეთ „ფრანკფურტერ ცეიტუნგის“ მოსკოველი კორესპოდენტი, რომელიც იუწყება, რომ ბრალდებულები მშვენივრად გამოიყურებიან. კორესპონდენტი იტყობინება, რომ კომუნისტ ორატორებს დიდ თანგრძნობას უცხადებს დამსწრე საზოგადოება. გაზეთი ამტკიცებს, რომ ამ ყამად საბჭოთა მთავრობა ყველაზე უფრო, ვიდრე ოდესმე საგებლობს ხალხის მტკიცე სიმპატიებით.

— 15 ივნისის საღამოს სხდომაზე, მოწმე გერასიმოვის ჩვენების შემდეგ ვრცელი განმარტებით გამოდის (გამოტოვებულია)....

— (დ. საწყისი არ არის მოღებული)... არც ერთი ბრალდებული სასამართლოს წინაშე არ დაიწყებს თავის მართლებას და ვანდერველდეს, როზენფელდისა და ლიბკნეხტის განცხადებანი გვაჩვენებენ იმას, რომ ისინი სიმართლეს გაურბიან. ყოველი მათი მითითება ბერლინის შეთანხმების დარღვევაზე, სრული უაზრობაა არა მარტო იმიტომ რომ ეს შეთანხმება ჩამალა მე-2 ინტერნაციონალმა, არამედ იმიტომაც, რომ მიუხედავათ ამ ჩაშლისა სასამართლომ მისცა შესაძლებლობა ბრალდებულებს და მათ დამცველებს საკმაოთ თავდაცვისა. ჩვენ უკვე გუშინ აღვნიშნავდით, რომ, პროცესის ანგარიშების კერძო სტენოგრამას საკითხის შესახებ კამათში, როზენფელდმა განაცხადა, რომ ის მოხარულია (გამოტოვებულია) .. ჩვენ შეგვიძლია ამას კიდევ დაუმატოთ, ის, რაც როზენფელდმა გუშინ განუცხადა ნაცნობებს, რომ იგი ეპირება ორი კვირით გაემგზავროს ბერლინში, რათა უკანვე დაბრუნდეს პროცესის უკანასკნელ სხდომებისათვის. სასამართლოდან უკანა რიცხვით გაქცევის, ბერლინის ხელშეკრულების ყველა მუხლების დარღვევით ახსნის ცდა, უსაფუძვლოა, როგორც ეს დაამტკიცა უზენაეს რევოლიუციონურ ტრიბუნალის თავმჯდომარე პიატაკოვმა თავის პასუხში უცხოელ დამცველების მიმართ. ისინი ეყრდნობიან ორი ბრალმდებლისა და ერთი დამცველის განცხადებას, რომ ბერლინის შეთანხმებას არა აქვს არავითარი კავშირი პროცესთან. ეს თავისმართლება ვერავის ვერ დაარწმუნებს, ვინაიდან ყველა გაიგებს, რომ სახელმწიფოს სასამართლო ეყრდნობა კანონებს და არა შეთანხმებებს. აგრეთვე არა ნაკლებ სასაცილოა იმაზე მითითება, თითქოს დამცველები შეზღუდულნი იყვნენ 4 მენშევიკი დამცველის არ დაშვებით. არავის არ უთქვამს ესერებისათვის და მათ დამცველებისათვის უარი კერძო სტენოგრამის შედგენაში. რაც შეეხება მენშევიკ დამცველებს, მათ თავიანთ მომართვაში აშკარად განაცხადეს, რომ მოდიან სასამართლოში არა როგორც დამცველები, არამედ იმისათვის, რომ გაარკვიონ თავიანთი დამოკიდებულება ესერებისადმი და საბჭოთა ხელისუფლებისადმი. მენშევიკების ამ პროვოკაციულ განცხადებამ, რომ ისინი მოდიან სასამართლოში არა დამცველებათ, აიძულა სასამართლო გამოეყენებია კანონის ის მუხლი, რომელიც ამბობს, რომ დამცველად შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელსაც ენდობა ტრიბუნალი. სასამართლოს არ უთქვამს უარი ბურჟუაზიულ ვექილების მურავიოვის, ტაგერისა და სხვ. დაშვებაზე, რადგან ეს ვაუბატონები საკმარისად ჭკვიანნი აღმოჩნდენ და არ განაცხადეს, თითქოს ისინი მოელოდენ აქ რომ გამოერკვიათ კადეტების დამოკიდებულება ესერებისადმი და საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ბატონ მენშევიკებმა იმდენათ ძლიერად იგრძვნეს თავიანთი თავი ბერლინის ხელშეკრულების ქვეშ, რომ ნება მისცეს თავის თავს დაიწყოთ სასამართლო ხელისუფლების პროვოკაცია, რომელიც ამ უკანასკნელს არ შეეძლო დ ეტოვებია უყურადღებოთ. თუ უცხოელ დამცველების მითითება გამოგონება არის, ისმება საკითხი, რატომ სტოვებენ ისინი ბრალდებულებს დაცვის გარეშე და რატომ დაეთანხმენ ამას ბრალდებულები. ბ. ბ. ვანდერველდე, როზენფელდი და ლიბკნეხტი დარწმუნდენ იმაში, რომ პროცესი დაამტკიცებს მთელ დანაშაულობას ესერების პარტიის ცენტრალური კომიტეტისას საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოთ შეიარაღებულ ბრძოლაში. და დარწმუნდენ რა ამაში—ვანდერველდემ, როზენფელდმა და ლიბკნეხტმა გადაწყვეტეს არ დაესწრონ ამ დამტკიცებას, ვინაიდან მათი დანაშაულობის დაცვით, ისინი აღიგებდენ თავის თავზე და, ამით 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალებზეც, პასუხისმგებლობას ესერებისას. ამ პასუხისმგებლობის მათ შეეშინდათ. ამიტომ ბ. ვანდერველდემ და კომპანიამ სთხოვეს ესერებს გაენთავისუფლებიათ ისინი, ხოლო ამის შესახებ ისინი საზღვარგარეთ ასტეხენ განგაშს. ასეთია აზრი ესერების უცხოელ დამცველთა გაქცევისა. წავლიან რა საზღვარ-გარეთ ისინი დაიწყებენ საოცარ წასისინებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ ეს წასისინება ჩვენ მშვიდობიანობას ვერ შეარყევს. ევრავითარი წასისინებით ვერ მოსპობენ ისინი როზენფელდის განცხადებას უზენაესი ტრიბუნალის მიუდგომლობის შესახებ, იმ განცხადებას, რომელიც ამ სასამართლოს დარბაზიდან გაქცევის წინ. ეს განცხადება სტენოგრამაშია შეტანილი სასამართლოსა და ევროპის მუშათა დიდი ორგანიზაციებიც მეთაურების კლარა ცეტკინას და ფოსარის თანადასწრებით. მენშევიკური დამცველები გაექცენ სიმართლეს, მაგრამ უზენაესი ტრიბუნალი ბოლომდე გამოარკვევს ამ სიმართლეს. ეს სიმართლე იქნება მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის განკარგულებაში.

იდეა წარმოადგენს სრულ ფანტაზიას, ვინაიდან ფინანსიური მდგომარეობა არც ერთ სახელმწიფოს არ აძლევს ნებას მისცეს ვინმეს ასეთი სესხი. ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ სესხზე კერძო კაპიტალისტებისაგან, რაც შესაძლებელი გახდება, თუ საბჭოთა რუსეთი წავა მისგან მოთხოვნილ დათმობებზე. ეს დათმობა უნდა მდგომარეობდეს, სულ მცირე, ვალების და ანაზღაურების ცნობაში. თუ საბჭოთა რუსეთი ამ დათმობებზე წავა, მაშინ კერძო კაპიტალი, რომელიც იმოქმედებს რუსეთში, დაინტერესდება რუსეთის ტრანსპორტის, რუსეთის ფულის სისტემის გაუმჯობესებაში და იძულებული გახდება მისცეს სესხი საბჭოთა მთავრობას. სხვა საქმიანი ორგანოები საერთაშორისო ბურჟუაზიისა გადაჭრით იმ აზრს ატარებენ, რომ დათმობები, რომლებსაც მოითხოვენ საბჭოთა რუსეთისაგან, წარმოადგენენ მხოლოდ სიტყვიერ დათმობებს, წარმოადგენენ კაპიტალისტური „მორალის“ აღიარების მოთხოვნას, ან, როგორც ირონიულად სთქვა ლოიდ ჯორჯმა, აღიარებას კაპიტალისტურ ცრუმორწმუნეობისა („პრეიდრასსუდოკ“), რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ თუ გინდა ფული ისესხო, უარს ნუ იტყვი ვალების და ანაზღაურების ცნობაზე. ეს წრეები იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ მოითხოვენ რა ამ სიტუალის ასრულებას, იმათ იმედი არა აქვთ რომ მიიღებენ საბჭოთა რუსეთისაგან რეალურ ფულებს. საბჭოთა დიპლომატიის ამოცანას შეადგენს ამ ყამად ყველა

რადიო-დეპეშები

ჰაგის თათბირი

ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლების სხდომა.

მოსკოვი. 16 ივნისი. (რადიო). 15 ივნისს ჰაგაში უნდა შემდგარიყო ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენელთა ორი სხდომა, რომელთაც უნდა ამეერჩიათ დელეგატები რუსებთან მოლაპარაკების დასაწყებად, საბჭოთა რუსეთთან შეთანხმების შესახებ.

წინასწარი კონფერენცია ჰაგაში გაიხსნება 15 ივნისს, დამთავრდება არა უგვიანეს 20 ივნისისა.

საფრანგეთი და ჰაგა.

მოსკოვი. 16 ივნისი. (რადიო). გაზეთი „ვარშავსკა“ იტყობინება, რომ საფრანგეთის მთავრობამ დაადგინა გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები ჰაგაში მხოლოდ როგორც თვალყურის მგდებელნი, რაიმე უფლებებით აღჭურვის გარეშე.

იტალია და ჰაგა.

მოსკოვი. 16 ივნისი, (რადიო). „მორნინგ პოსტ“ი იუწყება, რომ ჰაგაში იტალიის დელეგაციის სათავეში დადგება გენუის კონფერენციის ყოფილი გენერალური მდივანი ბრონი.

ინგლისი და ჰაგა.

მოსკოვი. 16 ივნისი, (რადიო). ინგლისის დელეგაცია 40 კაცის შემადგენლობით უკვე გაემგზავრა ჰაგაში.

პასუხს არ იძლევიან.

მოსკოვი. 16 ივნისი (რადიო). ჰოლანდიის პრესა ჩიოვის, რომ ჰაგაში მოწვეულ 12 ზე მეტი სახელმწიფო პასუხს არ იძლევა.

ჰაგის აპარატი.

მოსკოვი. 13 ივნისი, (რადიო). „ერეჩ პოსპოლიტა“ იტყობინება, რომ ჰაგის კონფერენციას ექნება ნაკლები აპარატი გენუის კონფერენციასთან შედარებით. ჰაგის თათბირის მონაწილეთა რიცხვი უდრის მხოლოდ ორას კაცს. თუმც ამერიკა ოფიციალურად არ ღებულობს მონაწილეობას ჰაგის თათბირში, მიუხედავად ამისა ჰაგაში უკვე ჩამოვიდა 30 ამერიკელი ჟურნალისტი.

პოლონეთი და ჰაგა.

მოსკოვი. 13 ივნისი, (რადიო). პოლონეთის ელჩმა შეატყობინა ჰოლანდიის მთავრობას, რომ პოლონეთმა მიიღო მიწვევა ჰაგაში.

ინგლისის მემორანდუმის გამო

მოსკოვი. 16 ივნისი (რადიო). ფრანგული პრესა უკმაყოფილოა ინგლისის მემორანდუმით. „ტან“ი წერს: ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ინგლისელებს სურთ საბჭოთა მთავრობისგან „ნაძარცვ“ საქონელის მიღება. მაგრამ ჩვენ ვსთვლით საფრთხედ, რომ ინგლისის მემორანდუმი შექმნის პირველ კანონიერ საფუძველს საფრანგეთსა და საბჭოთა მთავრობის შორის სეპერატიული მოლაპარაკებისათვის.

საუბარი კრასინთან

ბერლინი. პროფესორ ჩაბოტინმა გამოაქვეყნა გაზ. „ნაკანუნეში“ თავისი საუბარი კრასინთან გენუის კონფერენციის შესახებ. კრასინი ამბობს:

„ევროპას ყოველი ღონით სურს გვაძულოს ვიცნოთ ჩვენ კომპენსაციები იმ ხელშეკრულებისა, რომელიც ჩვენ არ შეგვიკრავს, რის სამაგიეროთაც იგი ჩვენ არაფერს დადებითს არ გვაძლევს: არც სესხიზულ ფინანსიურ დახმარებას, რომელიც დაგვეხმარებოდა ჩვენ სასწრაფოთ აღგვედგინა ქვეყნის სამეურნეო და ადმინისტრატიული აპარატი, რის გარეშეც უნაყოფოა ლაპარაკიც კი იმავე კომპენსაციების შესახებ:—არც იურიდიულ ფორმებში აყალიბებს ჩვენს ურთიერთობას, რის გარეშეც ბრკოლდება აგრეთვე ევროპისა და რუსეთის აღდგენის საკითხიც. გენუის კონფერენცია, რომელიც მოწვეული იყო „ევროპისა და რუსეთის სამეურნეო აღდგენის“ ლოზუნგით, არსებითად არც კი შეხებია ამ უმთავრეს საკითხს, რაც უმთავრესი ქვაკუთხედია საერთაშორისო ურთიერთობისა. ყოველი ეკონომისტისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ რუსეთის დაჩქარებით აღდგენის საქმეში, პირველი ნაბიჯი—კრედიტია. ამავე დროს კი მოკავშირეთა ყოველი განცხადება კრედიტების შესახებ პურუსით არის მოცული და გაურკვეველია. გვპირდებიან 12 მილ. გირ. სტერლ. საერთაშორისო კონსორციუმით, ლაპარაკობენ 26 მილიონ გირ. სტერლ. რომელიღაც ინგლისური წარმოებისას და დაახლოვებით 20 მილ. გირვანქა სტერლინგი ექსპორტიორების კავშირისას, მაგრამ ყველა ამ განზრახულ კრედიტებიდან, რუსეთის მთავრობა იმედებს ვერ დაამყარებს ეერც ერთ კაპიკზე. ამავე დროს კი ცხადია, რომ კრედიტები იმდენათ არ სჭირდება უცხოელ მრეწველებს, რუსეთში კერძო ინიციატივის ფინანსიურად დახმარებისათვის, რამდენადაც რუსეთის მთავრობას, განსაზღვრული გეგმით ტექნიკური და სამეურნეო აპარატის სისტემატიურად აღორძინებისათვის. იმისათვის, რომ რუსეთში კერძო ინიციატივას შეძლება ეჰნეს განვითარებისა, საჭიროა მინიმალურად მაინც ტრანსპორტის გაუმჯობესება, ზოგადათ მაინც ფინანსების მოწესრიგება და ცხოვრების საერთო პირობების გამოკეთება. ერთი სიტყვით, გუმჯობესება ყოველივე იმისა, რასაც საშინელი ზიანი მიაყენა უმაგალითო ომმა და უბედურებებმა. კრედიტების საკითხისადმი ჩვეულებრივი კომერციული საზომით მიდგომა შეუძლებელია. სესხად გაღებული ფულის ქვეყნის აღორძინების მუშაობიდან უმალვე უშუალო სარგებლიანობის გამონახვა შეუძლებელია; ეს სახელმწიფოს—ამოცანაა. და სწორედ ამისთვის სჭირდება რუსეთის მთავრობას კრედიტები. გარეშე ამისა არავითარი შეთანხმება არ არის შესაძლებელი. ეჭვს გარეშეა, რომ უფრო უარეს პირობებშიაც შესძლებს რუსეთი საკუთარი ძალებით არსებობას. რუსეთი სიკვდილით არ მოკვდება, მისი დაჩაგრობა შეუძლებელია, როგორი დიდი მადაც არ უნდა აღუძრას ზოგიერთ სახელმწიფოებს მისმა ბუნებრივმა სიმდიდრემ. ამისათვის რუსეთს საიმედო ძალა ყავს — წითელი არმია და ბუნებრივი პირობები—ხოლო ამასთან ერთად უზარმაზარი სივრცეც. მაგრამ ცხადია, რომ ასეთ პირობებში რუსეთის აღდგენა ხანგრძლივი დროის საქმე იქნება, მას დიდი მოთვერპლი დასჭირდება და მათ შორის ადამიანთა მსხვერპლიც. რასაკვირველია რუსეთი დაიტანჯება, მაგრამ ძალიან სერიოზულად დაზიანდება ევროპაც.

შემდეგ კრასინი შეჩერდა მეურნეობის რაციონალურად მოწყობაზეც. კრასინი აღნიშნავს სლავიანურ განსაკუთრებულ თვისებას: ეს არის გატაცება, საოცნებო გეგმების დასახვა და უცოდინარობა წმინდა კონკრეტულად საქმის დაწყებისა. რაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა შევეჩვიოთ და შევისწავლოთ გერმანული თავდაპერა და ბეჯითობა, სისტემატიურობა და დაკვირვება. საჭიროა ენერგიის მინიმუმის დახარჯვითა და რაც შეიძლება მოკლე ვადაში განახორციელო დასახული მიზანი. რუსეთში სავსებით შესაძლებელია ჩაწერვა რაციონალური ორგანიზაციისა და დღეს დღეობით რუსეთში არსებული პირობები ნებსით თუ უნებლიეთ ამ შედეგებამდის მიგვიყვანს. ტეილერმა თავის დროზე აღნიშნა, რომ ადამიანის მოქმედების ნაყოფიერების მაქსიმალურად განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც „მადალ სფეროებში გაეგებათ ეს პრინციპები“. რუსეთის წინანდელ პრაქტიკაში ყოველი ამგვარი ცდა თავდებოდა მარცხით სწორეთ ამ პრინციპების არსების გაუგებრობითა და შეუგნებლობით. ახლა კი რუსეთის ხელმძღვანელ წრეებში ძალიან კარგად ესმით და მაისწრაფიან კიდევაც წარმოების ადმინისტრაციის და საერთოდ სახელმწიფოს მთელი პრაქტიკული მოქმედების რაციონალიზაციისაკენ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

საკამათოდ გამოდგება.

მოსკოვი. 16 ივნისი (რადიო). გაზეთებში მოთავსებულია ალბ. რადეკის ღია წერილი, რომელშიაც ის ემყარება რა ტრიბუნალის 13 ივნისის სხდომაზე ვანდერველდეს განცხადებას, იწვევს მას მოსკოვის მუშათა კრებაზე მეორე ინტერნაციონალის შესახებ საკამათოდ. რადეკი აცხადებს, რომ მას უფრო აღრე სურდა ამ კამათის გამართვა, მაგრამ იძულებული იყო ამაზე უარი ეთქვა, რადგან, ბელგიის მთავრობა, თვით ვანდერველდეს სიტყვებით, უარს იტყოდა რადეკისათვის პასპორტის მიცემაზე.

რუსეთ-იტალიის ხელშეკრულების გამო.

მოსკოვი. 16 ივნისი. (რადიო). სახალხო კომისართა საბჭომ, განიხილა რა გენუაში იტალიის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულება, დაადგინა ხელშეკრულების რატიფიკაცია უარყოფილ იქნას, რადგან ეს ხელშეკრულება აშკარად ეწინააღმდეგება სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმას. კომიტეტის უკანასკნელი სესიის გადაწყვეტილებას, რომელიც ზედმიწევნით განსაზღვრავს, თუ როგორ საფუძველზე უნდა იქნეს დამტკიცებული საბჭოთა მთავრობის მიერ ცალკე სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულება. საკითხი გადადებულია სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგი სესიისათვის.

რუსეთის ნახშირით მომარაგება.

„იუმანიტე“ იტყობინება: ნიუკესტლიდან ცნობების თანახმად ინგლისის და საბჭოთა მთავრობის შორის დადებულია ხელშეკრულება რუსეთისთვის 65.000 ტონა ნახშირის მიწოდების შესახებ. ამის გარდა და დებულია ხელშეკრულება სრულიად რუსეთის კოოპერატიულ საზოგადოებასთან რუსეთში 25,000 ტონის ნახშირის ჩამოტანის შესახებ.

შევჩენკოს ხსოვნის აღსანიშნავათ.

ხარკოვი, 15 ივნისი (რადიო). პოდოლსკის ს ხალხო განათლების განყოფილებამ გამოაცხადა სრულიად უკრაინის კონკურსი პოეტ შევჩენკოს ძეგლის გაკეთებაზე.

მოხავალი.

ხარკოვი 15 ივნისი (რადიო). უკანასკნელი ცნობების თანახმად პურის მოხავალი მთელ პოდოლიაში დამაკმაყოფილებელია. მოელიან ხეხილის კარგ მოხავალს.

— ნათელის მოხავალი ეკატერინოსლავსკის გუბერნიაში საერთოდ საშვალოზე უფრო მეტი. ზოგან შეხანიშნავი. უკვე შეუდგენ გათიბვას ზამთრის პური მთელ გუბერნიაში კარგ მდგომარეობაშია. გაზაფხულის პური უკანასკნელი წვიმების წყალობით გამოკეთდა და საშვალოზე უფრო მეტი მოხავლის იმედს იძლევა.

საქონელი საზღვარ გარეთიდან.

მოსკოვი. 15 ივნისი (რადიო). ივნისის პირველ ნახევარში პეტროგრადის ნავთსადგურში შემოვიდა 11 გემი მილიონი ფუთზე მეტი ნახშირით და ფქვილით. ჩამოიტანეს აგრეთვე ორთქლმავალები.

რიგეველში მოვიდა 7 გემი, ფეოდოსიაში—2, არხანგელსკში—2. შავი ზღვის ნავთსადგურებში იმყოფება 7 გემი სხვა და სხვა საქონლით დატვირთული.

ბეჭდვითი საქმის გამოფენა.

მოსკოვი. 8 ივნისი (რადიო). ამ ახლო მომავალში კავშირების შენობაში ეწყობა ბეჭდვითი საქმის გამოფენა. ამ გამოფენაში მონაწილეობას იღებენ ყველა ის ორგანიზაციები, რომელნიც დაინტერესებული არიან პოლიგრაფიული წარმოების განვითარებაში.

ოსმალეთის დელეგაცია უკრაინაში

ხარკოვი. 15 ივნისი. ხარკოვში ჩამოსულ ოსმალეთის დიდი ეროვნულ კრების საგანგებო საელჩოს მეთაურმა რიზანური ბეიმ გუშინ და დღეს ინახულა უკრაინის შეიარაღებულ ძალების სარდლის მოადგილე გეიდემანი, სახალხო განათლების კომისარი გრინკო და ჯანმრთელობის კომისარი ბურევიჩი.

ვაჭრობა უკრაინასა და პოლონეთს შორის.

ხარკოვი. 16 ივნისი, (რადიო). საგაჭრო ურთიერთობამ უკრაინასა და პოლონეთს შორის ამ ჟამად შემდეგი სახე მიიღო: ამ უკანასკნელ ხანებში პოლონეთში გაიგზავნა რუსეთ-უკრაინის მარშრუტები სხვა და სხვა ხასიათის საქონლის მნიშვნელოვანი რიცხვით. პოლონეთის დიდი ფირმების წარმომადგენლები გაკვირვებული არიან უკრაინის საქონლის მაღალი ღირებლებითა და მათი ჩაწყობის სისუფთავითა და მოვლით პოლონეთის ბაზარი განსაკუთრებით კმაყოფილია კანაფით, რომელიც საუკეთესო ღირსებისათ მიჩნეთ. პირველი საექსპორტო მარშრუტის ჩასვლისათანავე უკრაინის საგაჭრო წარმომადგენლობას ბევრი წინადადებები მოსდის უკრაინის საქონლის შესყიდვის შესახებ. განსაკუთრებით გაცხოველდა დიდი პარტიებით შესყიდვა ძალიან გამოსადეგ ფასებში შესყიდულ იქნა მუხის ბაწარი, „პარაფინი“ და სხვა საქონელი. პოლონეთის მრეწველობის უფრო განვითარებული წარმოებანი დღეს დღეობით გახიცდიან მწვავე კრიზის საქონლის გასაღების საქმეში. განსაკუთრებით მძიმეა საქმეები და ლეთონის გადამმუშავებელი მრეწველობის მდგომარეობა. ფაბრიკა-ქარხნები ძალიან მძიმე პირობებში მუშაობენ. ამიტომ ყველას გულის სურვილი მიპყრობილია რუსეთისა და უკრაინისაკენ. რუსეთის ბაზართან დაახლოვებისათვის განზრახულია განსაკუთრებული ბანკის დაარსება რუსეთთან ვაჭრობისათვის.

ფინანსიური მდგომარეობა პოლონეთისა უმიდეოა. სახელმწიფო ვალი უდრის 100 მილიარდ 200 მილიონ პოლონურ მარკას. სიძვირე პოლონეთში დღითი დღე მატულობს. მუშათა საშუალო ხელფასი საარსებო მინიმუმზე 40 პროც. უფრო მცირეა.

პეტროგრადის ნავთსადგურში.

მოსკოვი. 8 ივნისი. პეტროგრადის ნავთსადგურში ნაოსნობის დაწყება დან შემოვიდა 24 გემი 8.881 000 ფუთი საქონელით. მთელი ყურადღება მიქცეულია იქითკენ რომ გაძლიერებული იქნეს დატვირთვა. ამ უკანასკნელ დღეებში ტვირთვენ 300 ვაგონამდის, ე. ი. მოთხოვნილების 60 პროც. ამ ბოლო დროს პეტროგრადში მოვიდა იმდენი საქონელი რაც შარშან მთელი ნავოსნობის განმავლობაში.

კურის სესხი.

ხარკოვი. 15 ივნისი. 14 ივნისს სახელმწიფო ბანკის ხარკოვის განყოფილებაში გაიყიდა პურის სესხის ობლიგაციები 2 800 ფუთი. რაოდენობასა, სჭარბობს წვრილი ხელის მოწერა.

ადგილებიდან მოსულ ცნობების თანახმად, უკრაინის მუშათა და კოოპერატივებს შორის სწარმოებს გაძლიერებული ხელის მოწერა პურის სესხზე ხელის მოწერა ავიდა 100.000 ფ. მდე—ოდესიდან იტყობინებიან, რომ 12 ივნისს სახელმწიფო ბანკში გაიყიდა პურის სესხის ობლიგაციები 1000 ფუთის რაოდენობისა.

ხარკოვი. 16 ივნისი (რადიო) პურის სესხზე ხელის მოწერა ხარკოვში საკმაოთ წარმოებით მიმდინარეობს. გუშინდელი დღის განმავლობაში სახელმწიფო ბანკში სესხზე ხელის მოწერა გამოიხატება 5.000 ფუთში.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

გერმანიის აღდგენის პირობები

ბერლინი. 15 ივნისი, (რადიო). გაზეთი „დეერ ეალგემაინე ცეიტუნგი“ აქვეყნებს იმ საკონტრიბუციო დათმობათა პროგრამას, რომელსაც მოითხოვს გერმანია. ეს მოთხოვნილებები წარმოადგენენ მინიმუმს იმისას, რაც საჭირო გერმანიის აღდგენისათვის. ხენებული მოთხოვნილებანი შესდგება 6 მუხლისაგან:

1. დისბურგის, ლუსელდორფისა და როურორტის ევაკუაცია; 2. საექსპორტო გადასახადების შემცირება მდ. რეინის მარცხენა ნაპირის დაცლილ რაიონებზე; 3. საარის რაიონის ევაკუაცია; 4. დანციგთან სავაჭრო კავშირის აღდგენა პოლონეთის „დერეფანი“-ს გახსნით; 5. ზემო სილეზიის საზღვრების გასწორება, ვერსალის ხელშეკრულების თანახმად; 6. გერმანიისთვის კეთილსაიმედო ნაციის პირობების შექმნა. გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს მოთხოვნილებანი ეთანაბრებიან კანონის სამართლიანობას და ეკონომიურ პრინციპებს. გერმანია ვერ დაამტკიცებს შესაძლებლობას თავისი გადახდების გასტუმრებისას, სანამ მას არ დაუბრუნდება წართმეული პროვინციები. თუ გერმანია გამუდმებულად არ მიუტანს მსხვერპლს უცხოელ იმპერიალისტებს, იგი შესძლებს სწრაფად აღორძინებას და გახდება საერთაშორისო ოჯახის სასარგებლო წევრი.

სამხედრო დოკუმენტები.

ბერლინი. 15 ივნისი, (რადიო). რატენაუ აცხადებს: გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა სავსებით გამოაქვეყნოს ის ისტორიული დოკუმენტები, რომელნიც ეხებიან ომის წინა პერიოდს. რატენაუს სიტყვით გერმანიის აღდგენა და აღორძინება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც უარყოფილ იქნება ყოველგვარი ცილისწამება და ეჭვები გერმანიის მიმართ და სიმართლე აღდგენილ იქნება.

ამერიკა.

საკონტრიბუციო პრობლემა.

ბერლინი. 15 ივნისი, (რადიო). ამერიკის მთავრობა არ სცნობს საკონტრიბუციო პრობლემის დამოკიდებულებას ევროპის,—შეერთებული შტატების ვალების საკითხთან.

ჭვანახშირის კრიზისი.

ნიუიორკი 15 ივნისი, (რადიო). ქვანახშირის მუშების გაფიცვა ამერიკაში გრძელდება. ამის გამო თავი იჩინა ნახშირის სიმშილი ბამ. ინგლისმა 10 წლის ხანდაზმულობის შემდეგ გაგზავნა ამერიკაში პირველი ტრანსპორტი ნახშირისა.

ირლანდია.

ირლანდიის გემის დაკავება.

ნიუიორკი. 15 ივნისი, (რადიო). ინგლისის კრეისერმა დაიკავა გემი, რომელიც მიდიოდა გერმანული დროშის ქვეშ. დაკავების მიზეზათ მიაჩნიათ ის გარემოება, რომ ამ გემით კონდრაბანდით მიქონდათ იარაღი ირლანდიელ რესპუბლიკელებისათვის. ეს ეჭვები არ გამართლდა.

ირლანდია.

ირლანდიის კონსტიტუცია.

ბორდო. 15 ივნისი. ჩერჩილი ხვალ გაუკეთებს მოხსენებას თემთა პალატას ირლანდიის წარმომადგენლებთან გამართულ უკანასკნელ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ეხება ირლანდიის კონსტიტუციას. ლონდონიდან ირლანდიაში გაემგზავრა რიპლენსი. დარჩა მხოლოდ ერთი გრიფიტი ირლანდიის დროებით მთავრობის ზოგიერთ წარმომადგენლებით რომელნიც დასარულებენ მოლაპარაკებას ჩერჩილთან კონსტიტუციის დეტალების შესახებ.

მექსიკა.

რევოლიუციონური მოძრაობა.

რომი. 15 ივნისი. გაზეთები იტყობინება მექსიკაში დაწყებულ რევოლიუციონურ მოძრაობის შესახებ. მექსიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი აბათილებს ამ ცნობებს.

ტრიპოლიტანიაში.

რომი. 15 ივნისი. იტალიის ჯარებმა დიდი ბრძოლის შემდეგ დაიკავეს ტრიპოლიტანიაში ჯოჯის მიდამოები, სადაც აღიმართა იტალიის დროშა.

ნავთი.

რომი. 15 ივნისი. ჩემბერლენმა, თემთა პალატაში, უპასუხა რა მთელ რიგ საკითხებზე ნავთის შესახებ, განაცხადა, რომ ინგლისი თავისუფალია ვალდებულებათაგან და საფრანგეთ იტალიის შეთანხმებისაგან ნავთის სამრეწველოების ექ პლოატაციის საკითხ ს გარშემო.

მღელვარება ბიმშილობის ნიადაგზე.

რომი. 15 ივნისი ვენაში ავსტრიის კრონის დაცემის გამო, დაიწყო სერიოზული მღელვარება. ხალხი ათასობით ესევა სასურსათო მაღაზიებს.

სამხრეთ სლავიაში.

რომი. 15 ივნისი. ზაგრებში, კვირას მოხდა სერიოზული მღელვარება, რომელიც გამოწვეული იყო რადიჩის მომხრე სეპარატისტების მიერ. დაჭრილების რიცხვი დიდია. სწარმოებდა აუარაცხელი დაპატიმრება.

სიცხე ევროპაში.

კონსტანტინოპოლი. გაზეთ „ბოსფორის“ ცნობით, ევროპაში დიდი სიცხეებია. პარიზში სითბო ჩრდილში უდრის 34 გრადუსს. ლონდონში და მთელ სამხრეთ ინგლისში საოცარი სიცხეებია. შოტლანდიაში პირიქით სიცივეებია. გლაზგოში და შოტლანდიის სხვა ქალაქებში საშუალო სითბო უდრის ნულს (0).

მონგოლეთის დამოუკიდებლება.

პარიზი. გაზეთი „მატენი“ იუწყება, რომ დამოუკიდებელ ჩრდილოეთის მონგოლეთის მთავრობამ ურთიერთი თავდაცვის ხელშეკრულება დასდვა რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან ჩინეთის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელის ჯარები შეესევიან მონგოლეთს.

გერმანია და ევროპა.

მოსკოვი. 13 ივნისი (რადიო). სტინტის ორგანო „ტეგლიხე ცეიტუნგი“, სწერს, რომ გერმანია და ევროპა მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში მოექცენ ეხლა, პარიზის ბანკირების კომისიის უშედეგობის გამო.

„ფორვერტსი“ აღნიშნავს, რომ მოსალოდნელია პუანკარე შეეცადოს ეხლა მდგომარეობის უფრო გამწვავებას.

„როტე ფანე“ მიუთითებს გამარჯვებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოების შორის ანტაგონიზმის გამწვავებაზე.

გერმანიის რეაქცია ერთიანდება.

მოსკოვი. 13 ივნისი (რადიო). გერმანიის ნაციონალისტები უკმაყოფილონი არიან ებერტის მთავრობით: მიუნხენის პატრიოტები პროტესტს აცხადებენ მიუნხენში ებერტის ჩამოსვლის წინააღმდეგ. მიღებულია ზომები მიუნხენში ებერტის დასაცავად.

ბინდენბურგი ჩამოვიდა კენიგსბერგში და იქ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ გერმანიამ არ უნდა დაჰკარგოს მხნეობა. ადრე თუ გვიან მდგომარეობა ძაინც შეიცვლება.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ გერმანიის რეაქცია სცდილობს გაერთიანდეს.

ირლანდიაში.

მოსკოვი. 13 ივნისი (რადიო). ინგლისელი ჯარები განაგრძობენ ულტერის აჯანყებულთა განადგურებას არტილერიის და ჯავშნოსნების საშუალებით და ახდენენ მასიურ დაპატიმრებას.

კომინტერნისაკენ.

მოსკოვი 13 ივნისი (რადიო). ქრისტიანიიდან იტყობინებიან ელექტრო-მონტიორების პროფესიონალურ კავშირმა დაადგინა ერთხმად გასწყვიტოს კავშირი ამსტერდამის ინტერნაციონალთან და შეუერთდეს კომინტერნს.

მორიგი ცილისწამება.

ხარკოვი, 15 ივნისი. რადიო. პოლონეთის გაზეთები ყოველდღიურად ბეჭდავენ ცნობებს იმის შესახებ, თითქოს გრძელდებოდეს პოლონეთის ტერიტორიაზე ბანდების თავდასხმა, რომელნიც გამოდიან რუსეთის საზღვრებიდან. ამ ცნობებს მუდმივ თან სდევს განცხადება „საარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ“. გაზეთ „ერეჩ პოსპოლიტას“ ეჭვი შეაქვს ამ „საარწმუნო წყაროების“ სიმართლეში და მოითხოვს მის დასახელებას.

ბრძოლა სიმშილთან

ბავშვი დამშეულებს.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარმა კომიტეტმა დამატებით გაანაწილა ჩრდ. ამერიკიდან მიღებული 56 500 ფუთი ქვავი დამშეულ მაზრებში, შემდეგნაირად: რაჭის მაზრას გაეგზავნა 9 000 ფ., შორაპანის მაზ. 9 000 ფ., გორის—6.000 ფ., ოზურგეთის—6.000 ფ., ქუთაისის—7 000 ფ., 000 თ ი ფილისის—4.., ახალციხის—1.000 ფ., სენაკის—4 000 ფ., დუშეთის—2 000 ფ., ლეჩხუმის—3 000 ფ., თიანეთ ს მაზ.—2 000 ფ. და სამხრეთ ოსეთის—2500 ფუთი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

ბათომი. საბინაო ქვეგანყოფილება. კომუნალური მეურნეობის საბინაო ქვე-განყოფილება ამ ჟამად აწარმოებს სხვა და სხვა ბინების დათვალიერებას იმ მიზნით, რომ მოახდინოს შესაძლებელი შემჭიდროება, გადასცეს განთავისუფლებული ბინები რიგში მყოფ კანდიდატებს, და ჩაასახლოს ბათომის გარნიზონის სამხედრო მოსამსახურეები ხშირად ირღვევა საბინაო საკითხის არსებული წესები, რის გამო საბინაო ქვეგანყოფილების თანამშრომლებს უხდებათ დიდი მუშაობა კონტროლის მოსახდენად

მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის განყოფილებების გაერთიანება. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა გააერთიანოს სასოფლო მეურნეობის, საფონდო მიწების და საბჭოთა სამეურნეო ორგანოების განყოფილებები.

სახალხო-სასურსათო კომისარიატის მოქმედება. კომისარიატის სახელმწიფო მომარაგებაზე აჭარაში ირიცხება 30 დაწესებულება და სხვა და სხვა ორგანიზაციები. 1922 წელში გაცემულია: იანვარში—2.374 ულუფა (თითეულის ღირებულება 422.410 მან.), თებერვალში—2864 (ღირებულება 394.850), მარტში—2586 (ულუფის ღირებულება 475.390 მან.) სულ გაცემულია 7084 ულუფა, —3.337.476.630 მან.

ქობულეთში. ქობულეთის ჯანმრთელობის კომისარმა შუამდგომლობა აღძრა, რომ მიეცეს მას უფლება შეძლებულ კერძო პირებიდან გადასახადის აღებისა, რომლებიც მოდიან ქობულეთში საექიმოდ. აჭარის სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის კოლეგიამ გადაუგზავნა შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს საბოლოო ნებართვისათვის.

ნათესების მდგომარეობა. აჭარის სოფლებიდან დაბრუნებული კომისიის წევრები, რომლებიც გაგზავნილი იყვნენ იქ ფუხარა ხალხის კომიტეტების ხელ-ახალი არჩევნების ჩასატარებლად ჩამოიტანეს თან შევსებული სტატისტიკური ანკეტები აჭარაში ნათესების მდგომარეობის შესახებ. ანკეტების ცხრილი ეხება ნათესების მდგომარეობას 15 მაისიდან 1 ივნისამდე შემდეგ რაიონებში: ხულო, მარადიდი, აჭარის წყალი, კედი, და ბათომის რაიონი, საერთოდ საშუალოს და საშუალოზედ უკეთეს ნიშნებს იძლევიან.

ესერების გასახართლებისათვის. ცირკის შენობაში შეგროვილმა ათასზე მეტ მუშებისა და წითელ არმიელთა მიტინგმა მოისმინა რა მოხსენება ამხ. ეშპაი ი ესერების გასამართლების შესახებ, ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ მუშები და წითელ-არმიელები, მოვითხოვთ რევოლიუციისა და მუშათა კლასის გამცემლების, ანტისაბჭოთა კონტრრევოლიუციონურ ესერების პარტიისათვის ღირსეულ სასჯელს. ჩვენ ვიცით, რომ ესერების გასამართლება, რომელშიაც შეეჩრა 2 და 2 ნახევარი ინტერნაციონალის პარტიები, გადაიქცევა ყველა მათ და საერთაშორისო შემთანხმებლების გასამართლებად. მსოფლიოს მუშათა კლასი ჩვენთან ერთად შესძლებს თავის მჯავრის გამოტანას არა მარტო ესერების, მძარცველების და ქურდულად მკვლელების შესახებ არამედ იმათ შესახებაც, რომელთაც გაბედეს მათ დასაცავად გამოსვლა თავისი უკვე შერყეული ავტორიტეტით“.

ბათუმის დამშეულთა დამხმარე კომიტეტი. მაისის განმავლობაში ბათუმის დამშეულთა დამხმარე კომიტეტის კასაში საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ შემოვიდა 378.479.024 მან. 45 ოსმალ. ქაღ. ლირა. 74 ნახ. პიასტრა, 6 ფრანკი და 2 იტალიური ლირა. ვოლგის გუბერნიების დამშეულთა სასარგებლოდ შემოვიდა 197.907,171 მ. ქართული ბონებით. 33 ოსმ. ქაღ. ლირა, 25 პიასტრი, და საბჭოთა ფულის ნიშნებით 25,482.000 მან. დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა თავისი მოღვაწეობა დაიწყო 1 აპრილიდან და მისი ორი თვის არსებობის განმავლობაში შემოვიდა საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ 1.005.441.034 მ., ქართ. ფულის ნიშნებით, 333 ოსმ. ქაღ. ლირა 49 ნახ. პიასტრი, 20 იტალიური ლირა 1 გ., სტერლინგი, 5 დოლარი, 6 ფრანკი, 40 მან. ოქროთი, 16 დრახმი, 7 მან. და 38 კაპ. სპილენძის ფული, 1 ვერცხლის პორტსიგარი, 1 ოქროს ბეჭედი ქვით. ვოლგის დამშეულთა სასარგებლოდ; 297.322.370 მანეთი ქართ. ბონით, 32.666 000 მ., საბჭოთა ფულის ნიშნ. 33 ოსმ. ქაღ. ლირა, 25 პიასტრი.

აზერბეიჯანი.

ნავთის დაღვრა. კომისიამ, რომელმაც გამოიკვლია ნავთის დაღვრის საკითხი ამიერ კავკასიის ნავთ-სადენიდან, აღმოჩინა 51.000 ფუთი ნავთის დანაკლისი 1 მარტიდან 31 აპრილამდე. ამავე დროს, აზნავთის ოკინის გზებთან შეთანხმებით, ნავთის დანაკლისი არ უნდა ყოფილიყო 12.000 ფუთზე მეტი. ნავთსადენის სამმართველო ნავთის ამ რაოდენობის დაკარგვის მიზეზად სთვლის ნავთსადენის აუზების საკმარისად დაუცველობას.

ნავთის ფრონტზე 5 და 6 ივნისის განმავლობაში ამოღებულია ყველა ადგილებიდან 993.000 ფუთი. გამზადებულია გადასაქაჩავად 337.000 ფუთი. მიღებულია გადაქაჩვის შემდეგ—353.000 ფუთი. გაწმენდილია—42.000 ფუთი. 7 ივნის გატანილია ასტრახანში ნავთი—97.702 ფუთი, ზეთი—55.465 ფუთი. გადაუმუშავებული ნავთის პროდუქტები 384 337 ფუთი.

აზერბეიჯანის პროფკავშირების საბჭო. აზერბეიჯანის პროფკავშირების საბჭოს პლენუმმა დაადგინა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კლუბების მუშაობას და მშრომელ ახალგაზდობას. საჭიროა ფართო დახმარება გაეწიოს მუშათა ბეჭვდითი საქმეს. საჭიროა აგრეთვე დიდი ყურადღების მიქცევა მუსულმანთა შორის მუშაობაზე და მათ ფიზიკურ აღზრდაზე.

აზერბეიჯანის პროფკავშირების საბჭოსთან უნდა მოეწყოს საკულტურო ფონდი, რომლის შესაქმნელად საჭიროა, გადაიდოს სათანადო თანხები მუშათა კოოპერატივებიდან, სამეურნეო ორგანოებიდან, განათლების ორგანოებისაგან და კავშირის საშვალებებიდან. კომუნალური დახმარება გაყოფილია ორ ხარისხად: მარტოხელისათვის და ოჯახიანისათვის (ორმაგი). საზაფხულო ნორმა მარტოხელებისათვის:—წყალი—2 ვედრო, ბინა—30 ოთხკუთხედი არშინი, ნავთი 1 ფუთი თვეში. სატარიფო საბჭო ეწყობა შრომის კომისარიატთან.

პარტიული მუშაობა ქალაქის რაიონებში. მაისში პარტიულ კრებებზე განხილული იქნება შემდეგი საკითხები: დახმარება დამშეულებისადმი შედეგები ბაქოს მე 10 პარტიულ კონფერენციისა გენუის შესახებ ბეჭვდითი დღე, კლუბის მუშაობა ბრძოლა კალიასთან, სასურსათო პერ

დაცულია ბიბლიოთეკა

სპეკტივები და რაიონული კომიტეტების არჩევნების შესახებ. ქალაქის რაიონებში მოხდა სულ მაისის განმავლობაში 158 იაჩეიკების სხდომა. დამსწრეთა რიცხვი 80 პროც. გარჩეულია ბევრი საკითხი რაიონული ხასიათის მუშაობის შესახებ, ხელახლად არჩეულია რაიონული კომიტეტი, რომლის არჩევნები პირველად მოხდა პარტიული წევრების საერთო კრებაზე, და არა კონფერენციაზე. რაიონული კომიტეტის კანდიდატების შესახებ წინასწარი მსჯელობა იქონია ქალაქის რაიონის ყველა კომიაჩეიკებმა.

ამნაირად პარტიულ მასსას პირველად ქონდა საშუალება პირისპირ გაცნობოდა რაიონული კომიტეტების მუშაობას, რამაც ძლიერ დაუახლოვა ამ უკანასკნელის მუშაობა პარტიის ფართო მასსებს. მუშათა ცენტრალური კლუბის საქმე მტკიცედ არის დაყენებული, მიღებულია 800 ახალი წევრი, რომელთა შორის 80 პროც.— წევრებია აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიისა.

დამშეულების სასარგებლოდ. აზერბეიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის მუშებმა გადასდვეს აზერბეიჯანის დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტის ფონდში 25 პროც. მაისის ძირითადი ჯამაგირებისა, რაც უდრის 1 ნახევარ მილიარდ მანეთს. აზერბეიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ავტო ტრანსპორტის სამმართველომ გადასდო აზერბეიჯანის დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტის ფონდში მანქანებისაგან დარჩენილი მოგების ნაწილი საერთო ჯამით 800 მილ. მანეთი.

პურის სესხი. აზერბეიჯანის სახელმწიფო ბანკის კოლლეგიამ პრინციპიალურად სასურველად სცნო პურის სესხი, მაგრამ ამასთანავე ნაკლებ მიზანშეწონილად ამ ჟამად, ვინაიდან ამავე დროს მიმდინარეობს სასურსათო გადასახადის კამპანია.

დადგენილია გამოკვლეულ იქნეს კონკრეტულად პურისა და ოქროს ფონდის რაოდენობა, რომელითაც შესაძლებელი იქნება სესხის უზრუნველყოფა.

სასურსათო გადასახადი. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა უფლება მიანიჭოს სასურსათო სამეულებს დაატუსაღონ ის პირები, რომლებიც არ იხდიან სასურსათო გადასახადს ორი კვირით და დააჯარიმოს ყოველი მათგანი გადასახადის მე 5 ნაწილით გადასახადის გარდა.

ძვირფასი ლითონების ყიდვა-გაყიდვა. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებულია დეკრეტი, რომლის ძალით იკრძალება სახელმწიფო დაწესებულებებს გარდა სახელმწიფო ბანკისა აწარმოონ ძვირფასი ლითონებისა და ვალიუტის ყიდვა გაყიდვა.

კალია. ოფიციალური ცნობების მიხედვით კალიისაგან დაზარალებულია მოსავლის 5 პროც.

ბაქოს ბაზრობა. ბაქოს ბაზრობის გახსნა, რომელიც დანიშნული იყო 1 ივნისისათვის გადატანილია 1 სექტემბრისათვის.

მუშების ხმა. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ წინადადება მისცა ადგილობრივ ინსპექციებს მუდმივი თვალყური ადევნონ მუშების წერილებს რომლებიც მოთავსებული იქნებიან გაზეთში „ბაქოს მუშაში“ რათა დაუყონებლივ გაარჩიონ იქ მოყვანილი ფაქტები არა ნორმალური მოვლენებისა და ბოროტმოქმედებისა.

მოსავლის მომწევი კამპანია. კუბინის მაზრაში მოსავლის აღება ჯერ კიდევ არ დაწყებულა, ხორბლის დაუმწიფებლობის გამო. დივიჩინის უბანში ქერი მზად იქნება ერთი კვირის შემდეგ; ჭაობებში და მაღლობებში მოსავლის პირი ხორბლისა და ქერის საშუალოზედ მეტია ზოგ ადგილებში კარგი კუსარის, მანუსინის და დივიჩინის უბნებში გამოჩნდა ჭრიჭინა, რომელიც იმალება ბალახებში, და რომელთანაც სწარმოებს ბრძოლა. სეტყვასა და სხვა რაიმე უბედურებას არ ქონია ალაგი. ამინდები კარგია.

ლატარია დამშეულთა სასარგებლოდ. (ტელეფონით). დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტი აწყობს ლატარიას დამშეულთა სასარგებლოდ. მოგების საერთო ჯამი უდრის 7 მილიარდს მოგების რიცხვი სულ 477 ია თვითეული ბილეთის ფასი 1 მილიონი მანეთია.

პურის სესხი. (ტელეფონით). ამხ. ნარიმანოვმა, მუსაბეკოვმა და ბინატზადემ „ბაქოს მუშის“ თანამშრომელთან საუბრის დროს გამოსთქვეს სურვილი აზერბეიჯანში პურის სესხის მოწყობის მიზანშეწონილობის შესახებ. პურის სესხის საკითხი გადაეცა განსახილველად უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს საგეგმო კომისიას.

თექვსმეტი თანამშრომლის საქმე. (ტელეფონით). დამთავრდა საქმე აზერბეიჯანის რკინის გზების სამასალო ნაწილის 16 თანამშრომელისა, რომელთაც ბრალდებოდათ უკანონო ხელშეკრულების დადება, რომელიც გამოიხატა ფასების ფიქტიურად გადიდებაში და სხ. ბევრ მათგანს მისჯილი აქვთ სასჯილის უმაღლესი ხარისხი, რომელიც შეეცვალათ 5 წლის იძულებით სამუშაოთი და საარჩევნო უფლების დაკარგვით 5 წლით. 5 გამართლებულია, 9 მისჯილი აქვს საზოგადოებრივ იძულებითი სამუშაო, სხვადასხვა ვადის პირობით.

სოფლეთი.

ერევნის ბირჟა. უცხოეთის ვალიუტის კურსი: ოქროს 10 მანეთიანი—32,000, ოსმალური ლირა—29,666—ბანკნოტი—5,000, დოლლარი 7,333 სპარსული თუმანი—5,000, საქართველოს ბონი 21.

დაშნაკცაკანებს შორის. ტეგერანიდან ტელეგრაფით იტყობინებიან: დაშნაკცუტიუნის პარტიის რაიონულმა კონფერენციამ ხმების უმეტესობით გამოიტანა დადგენილება, რომელიც ბრალს დებს ყოფილ დაშნაკცაკანის მთავრობას იმპერიალისტურ სახელმწიფოების ორიენტაციის გამო, და სთვლის რომ მხოლოდ მეკობრულ რუსეთთან თანამშრომლობა უზრუნველყოფს სომხეთის ხალხის არსებობას და მომავალს.

რკინის გზაზე. ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამხრეთ რაიონში სანაინდან ჯულფამდე 1922 წლის პირველ იანვრამდე მუშაობდა მხოლოდ 8 ორთქმავალი. პირველ ივნისათვის მუშაობაში იყო უკვე 16 ორთქმავალი, რომლიდანაც 2 შეკეთებულია საონის საშუალებებით „მკვდარ ორთქმავალების“ ე. ი. 1918 წლიდან ჩიხში გაჩერებულ ორთქმავლების რიცხვიდან. ორთქმავლების უფრო წარმატებით შეკეთებას ხელს უწლიდა ცეცხლის გაჩენის შემთხვევები, რომელსაც ადგილი ქონდა 18 მარტს და 28 აპრილს, რამაც ხელი შეუშალა კიდევ 2 ორთქმავლის გამოშვებას „მკვდარ“ ორთქმავლების რიცხვიდან მათი გამოშვება განზრახულია ივნისის თვის განმავლობაში. ამ დღეებში დაიწყო მუშაობა, ცეხლისაგან დაზარალებულმა შინაგანი წვის მამოძრავებელმა „როსტომ“-მა და სახელოსნოები მუშაობენ სრული დატვირთვით. სამხრეთ ხაზის მთელი შტატი, შემცირების შემდეგ აღწევს 405 თანამშრომელს. 1 მაისიდან გადიდებულმა ხელფასმა გააუმჯობესა რკინის გზელთა მდგომარეობა, ამასთან ერთად წარმოებამაც აიწია.

სასურსათო თათბირი

13 და 14 ივნისის სხდომა.

ერთიანი ნატურალური გადასახადი

მთელი სხდომა მოუნდა სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ შემუშავებულ დეკრეტის პროექტის განხილვას, რომელიც შეეხება ერთიან ნატურალურ გადასახადს. პროექტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. როლკე, რომელმაც თავის მოხსენებაში აღნიშნა პროექტის განსაკუთრებული ღირსებები და მისი განხორციელება შარშანდელ სასურსათო გადასახადის დეკრეტიდან.

თათბირმა დაწვრილებით განიხილა პროექტის თითეული მუხლი და შეიტანა შიგ შესწორებები და დამატებები. საბოლოოდ დეკრეტი არსებითად არ შეცვლილა, ხოლოდ მიეცა მეტი გარკვეულობა. დეტალურად იქნა განხილული აგრეთვე საკითხი მომავალში ასაკრეტ გადასახადის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. მსჯელობის შემდეგ მიღებულ იქნა გადასახადის საერთო ციფრი მთელს საქართველოში 800.000 ფუთი ხორბალით.

თათბირის მიერ მიღებულ დეკრეტის პროექტის თანახმად ერთიანი ნატურალური გადასახადი წესდება 1921—22 წ ჰურის პროდუქტებზე ქართოფილზე, ბოსტნეულობაზე, ხილზე და სხვ. არსებულ ნატურალურ გადასახადის ნაცვლად. ერთიანი ნატურალური გადასახადი წესდება სასოფლო მეურნეობის 1922—23 წლებში. ნატურალური გადასახადის წონის ერთ ერთეულად მიღებულია 1 ფუთი ხორბალი ისე, რომ გადასახადის გადახდელს უფლება ეძლევა ზოგიერთ შემთხვევებში გადასახადის ჰურის მაგივრად სასოფლო მეურნეობის სხვა პროდუქტები ან შესცვალოს ის ფულის ეკვივალენტით. ეს შეცვლა უნდა მოხდეს სახ ლხო სასურსათო კომისარიატის საგანგებო ინსტრუქციებთან შეთანხმებით.

გადასახადის საერთო ჯამს სასურსათო სახალხო კომისარიატი, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატსა და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით, ანაწილებს მაზრებზე, მათი მოსავლიანობის და გადამხდელობის უნარის მიხედვით. საგადასახადო კამპანიის ჩასატარებლად მაზრებში არსდება სამეულები, სამაზრო კომისრის, აღმასკომის თავმჯდომარის და პარტკომის მდივანის შემადგენლობით, რომლებიც თემის აღმასკომების წარმომადგენელთა თანადასწრებით განსაზღვრავენ თემების დაბეგვრის რაოდენობას. თემის ხვედრ გადასახადს ანაწილებს მცხოვრებლებზე თემის საბჭოს პლენუმი, ხოლო გადამხდელთა შორის თემის აღმასკომი, მცხოვრებთა წარმომადგენლების თანადასწრებით. ერთი ფუთი ხორბლის სხვა პროდუქტებით შეცვლის ეკვივალენტს განსაზღვრავს სახალხო სასურსათო კომისარიატი, მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატთან და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით.

ღარიბეს გლეხების მეურნეობა და აგრეთვე სამეურნეო საბჭოები და კომუნალური მეურნეობის განყოფილებები, იჯარით გაცემულების გამოკლებით, არ იბეგრება გადასახადით.

წითელ არმიელთა და აგრეთვე მათი სარჩენი ოჯახების მეურნეობა დაიბეგრება ნახევარი რაოდენობით თანაბარი შეძლების მქონე გლეხების მეურნეობასთან შედარებით. სასურსათო გადასახადის შემოტანის ვადა წესდება სამაზრო სამეულები სახალხო სასურსათო კომისარიატთა შეთანხმებით ისე, რომ აღმოსავლეთ საქართველოში უკანასკნელი ვადა იქნება 15 სექტემბერამდე, ხოლო დასავლეთ საქართველოსათვის 1 თებერვლამდე. სოფლების შორის მცხოვრებლებზე გადასახადის სწორ განაწილებაში პასუხისმგებელია სამ. სამეულები დ თემების აღმასკომები. გადამხდელებმა ხვედრი გადასახადი უნდა მიიტანონ დაწესებულ პუნქტებში თავიანთი საშუალებით.

ამ სხდომაზე 13 ივნისს სალამოს არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც მიენდო გამოიმუშაოს სანამუშოთ ერთი ფუთი ხორბლის სამაგიერო ეკვივალენტი თითეულ მაზრაში და როგორი პროდუქტებით შეიძლება იგი შეიცვალოს.

14 ივნისის დილის სხომა დაიწყო მოხსენებით ამ კომისიის მუშაობის შედეგებზე.

რით შეიძლება შეიცვალოს ხორბალი.

ახალ ქალაქის მაზრაში: ქერით, ერბოთი და შინაური საქონლით. ახალციხის მაზრაში: ქერით, შინაური საქონლით, ქართოფილით, დიკით, სიმინდით და ერბოთი, ბორჩალოს მ.: ქერით, სიმინდით, ერბოთი, შინ. საქონლით და მატყლით; გორის მ.: ქერით, შინ. საქონლით და კაკალით; სიღნაღის მ.: ქერით, სიმინდით, ღვინით, მატყლით და ლობიოთი; თელავის მაზრაში: ქერით, სიმინდით, ლობიოთი, ერბოთი, ღვინით და მატყლით; ტფილისის მაზრაში: ქერით, სიმინდით, ქართოფილით და მატყლით; თიანეთის მაზრაში: ქერით, სიმინდით, ლობიოთი ქართოფილით, ერბოთი და შინ. საქონლით; სამხრეთოსეთში: ქერით, სიმინდით, მატყლით, ქართოფილით და ლობიოთი; ზუგდიდის მ.: სიმინდით, დაფნის ფურცელით, ორ ომში—წალის და ხეთის, კაკლით, პიროუტყვით და ლობიოთი; ქუთაისის მ.: სიმინდით, ღვინით და ლობიოთი; ლეჩხუმის მ.: სიმინდით, კაკლით და ლობიოთი, რაჭის მ: სიმინდით და ლობიოთი; სენაკის მაზ.: სიმინდით და პიროუტყვით და შორაპნის მაზრაში სიმინდით და ლობიოთი.

ფუთი ხორბლის ეკვივალენტი.

თითეულ ფუთ ხორბალის სხვა და სხვა პროდუქტების ეკვივალენტის რაოდენობის დეტალურად განხილვის შემდეგ თათბირმა მიიღო, როგორც სახელმძღვანელოდ სახალხო სასურსათო კომისარიატისათვის შემდეგი შეფარდება ფუთი ხორბალის მის შემცვლელ პროდუქტებისადმი:

არეოდუქტები	1 ფუთი ხორბალი უდრის
სიმინდის	60 გირ.
ქერის	60 გირ.
ქართოფილის	4 ფ.
ქერდეპა ხორბალის 50 პროცენტით	50 გირ.
ლობიოსი	50 გირ.
ერბოსი	4 გირ.
გაურეცხავი მატყლის	10 გირ.
ნიგოზის და თხილის	50 გირ.
დაფნის ფურცელის გაწმენდილის	3 ფ.
ძროხის ხორცის	35 გირ. წონით ცოცხალი
ცხვრის ხორცის	20 გირ.
ღორის ხორცის	15 გირ.
კახური ღვინოს	1 ფ. 20 გირ.
იმერული ღვინოს	2 ფ.
ბორჩალოს ღვინოს	2 ფ. 20 გირ.

14 ივნისის დილის სხდომის დასასრულსა და საღამოს სხდომაზე ირჩეოდა ამხ. მელჩარსკის მოხსენება სახალისო სასურსათო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ.

სახალხო სასურსათო კომისარიატის რეორგანიზაცია.

სასურსათო ორგანიზაციები, რომელნიც შედარებით დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც მოწყობილია და რომელთაც სავსებით ჩამოყალიბებული სტრუქტურა ჯერ კიდევ არა აქვთ, მომენტის მოთხოვნილებაზე უფრო სწრაფათა და ადვილათ ეგუებიან პირობების ცვალებადობას და ან ასხვაფერებენ თავის სამეურნეო, საფინანსო და საორგანიზაციო გეგმას. სახალხო სასურსათო კომისარიატის 16 თვის არსებობის განმავლობაში, სავსებით გამოიშკარავდა მისი მიზნები და ამოცანები და ეხლა საბჭოთა ხელისუფლების ახალი ეკონომიური პოლიტიკის კურსის მიხედვით, კომისარიატის წინ წამოიჭრა ამოცანა მოახდინოს გადაჯგუფება თავისი ფრონტისა საორგანიზაციო სფეროში. სახალხო სასურ. კომისარიატის უმთავრეს დანიშნულებას შეადგენს სახელმწიფო მარაგის გეგმის შესრულება. პირველად იგი ყველას კვებავდა, მაგრამ მომხდარი შემცირების შემდეგ სახელმწიფო მარაგზე დარჩა მხოლოდ 40,000 კაცზე ცოტა უფრო მეტი. ეს ამოცანა—მინიმუმია, მაგრამ ჩვენ უნდა მივისწრაფოდეთ იმისკენ, რომ სურსათით უზრუნველყოფაზე ავიყვანოთ ყველა მუშა მოსამახურენი და იმავე დროს გავლენა მოვახდინოთ ბაზარზე.

სახელმწიფოსათვის სახალხო სასურსათო კომისარიატს ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი ასრულებს რა სახელმწიფო მარაგის გეგმას, უზრუნველჰყოფს ამით სახელმწიფო აპარატის ნორმალ მუშაობას და პარალელურად ამასთან ერთად ამცირებს სახელმწიფოს გასავალს სამუშაო ხელფასისას, ვინაიდან ულუფის ღირებულება 300—400 ათასი მანეთით უფრო იაფი ჯდება ბაზრის ფასებზე, რაც კიდევ თავისადა თავად გავლენას იხდენს მანეთის კურსზე, რადგანაც ამცირებს ულუფის მთელი ღირებულების რაოდენობის ქაღალდის ფულის ნიშნების ცენტრალურ ბაზარზე გამოტანას სამუშაო ხელფასის სახით.

გარდა ამისა, სახალხო სასურსათო კომისარიატი გახდა ფაქტიურად იმ ორგანოთ, რომლის საშუალებითაც ეწყობა სოფელთან მჭიდრო ეკონომიური კავშირის გაბმა. სახ. სასურს. კომისარიატი ამზადებს აბრეშუმის პარკ მატყლს, კაკალს და სხვ. ნედლ მასალას, რის სამაგიროთაც იგი აძლევს სოფელს საწარმოო იარაღებს და მოხმარების საგნებს. თავისი ოპერაციების თანდათანობითი განვითარება გაფართოებით, სახალხო სასურსათო კომისარიატს შეძლება, ექნება გავლენა მოახდინოს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე, ადგილობრივ მაღალ მნიშვნელოვანი კულტურის მოწყობა—გაშენებით, უფრო დაბალი კულტურის შემოტანის ხარჯზე.

რათა სახალხო სასურსათო კომისარიატს შეძლება ექნეს შეასრულოს მის წინაშე მდგარი ამოცანები, რეორგანიზაცია მოხდენილ კომისარიატს გადაეცემა ყველა ქონება ძველი სახალხო სასურსათო კომისარიატისა და გარდა ამისა გაეხსნება მას სახალხო ბანკში საჭირო კრედიტები ოპერაციების საწარმოებლად და აგრეთვე მიეცემა სუბსიდიები სასურსათო გადასახადის ჩასატარებლად. ყოველ წლიურად სახალხო სასურსათო კომისარიატი წარუდგენს სათანადო ორგანოებს თავის აპროგრამას.

მომავალ გეგმის და ყოველ წლიურათვე ვრცელ მოხსენებას განვლილ ხანის მუშაობის შესახებ.

შემოსავლის ხარჯთ-აღრიცხვით სახალხო სასურსათო კომისარიატი ღებულობს 20 პროც. სასურსათო გადასახადისაგან და 8 პროც. გასანაწილებელ ულუფიდან და ამ შემოსავლის წყაროთი იგი ფარავს ოპერაციებთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს.

მუშაობის ახალი პირობები მოითხოვს მნიშვნელოვან ცვლილებების მოხდენას სასურსათო აპარატის მოწყობაში. სახალხო კომისარიატს შეადგენს: სახალხო კომისარი და მისი მოადგილე, კოლეგია და მმართველობა: მომარაგების, სასურსათო გადასახადის, სავაჭრო სამრეწველო, საფინანსო-საანგარიშო და საერთო ცენტრალური ორგანო იქნება მომარაგების სამართველო, რომელიც დაამუშავებს მარაგის სურსათის გეგმას და გაატარებს მას ცხოვრებაში. თავის მოქმედებაში მომარაგების სამმართველო დაეყრდნობა სასურსათო გადასახადისა და სავაჭრო-სამრეწველო სამმართველოებს.

სავაჭრო-სამრეწველო სამმართველო წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს, რომელსაც ექნება იურიდიული პიროვნების უფლებები. სასურსათო პროდუქტების და ნედლი მასალის შეგროვებას აწარმოებს სავაჭრო სამრეწველო სამმართველო, რომლის აპარატთაც იქნებიან კოოპერატიული ორგანიზაციები ყველა ხარისხისა, საკუთარი შემყიდველი პუნქტები და კერძო კონტრ-აგენტები.

განმანაწილებელი ოპერაციები გამარტივებულ უნდა იქნეს, ულუფა შემცირებული რამოდენიმე ძირითად პროდუქტებამდე. მთელი რესპუბლიკისათვის დაწესდება მაგარი სკოლა ერთი პროდუქტების მეორგვარი პროდუქტების შეცვლით.

ამხ. მელჩარსკის მოხსენების ეს ნაწილი პრინციპიალურად მოიწონა თათბირმა; ხოლო რაც შეეხება სასურსათო კომისარიატის აპარატის რეორგანიზაციას ადგილებზე, თათბირმა ეს დებულებები უარყო და საჭიროდ სცნო არსებული სტრუქტურა უცვლელად დასტოვოს.

ქრონიკა

◆ რკინის გზის ცინკოგრაფია. ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს წინაშე აღძრულია შუამდგომლობა საქართველოს სამხატვრო აკადემიისათვის იმ ცინკოგრაფიის გადაცემის შესახებ, რომელიც იმყოფება სამმართველოს სტამბაში და უმოქმედოდ არის.

◆ მასწავლებელთა და მოსწავლეთა უფლებები. განათლების სახალხო კომისარიატმა განუმარტა ტეხნიკუმებს, რომ გამოცდების ჩაბარება თითო კლასის გამოტოვებით მოწაფეებისათვის ნება დართულია, ხოლო მასწავლებლების ერთდა იმავე დროს ორ როლში გამოსვლა—მოწაფეების მომზადებელის და ეგზამენატორების როლში,—კანონით აკრძალულია.

◆ აფთიაქის მოწაფეთა მოკლე ვადიანი კურსები დახურულია 1 ივნისიდან.

◆ სასოფლო საშეურნე სასწავლებლების გადაცემა. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატსა და განათლების სახ. კომისარიატს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის ძალით მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატისაგან გადაეცემა განათლების სახალ. კომისარიატის განკარგულებაში შემდეგი სასოფლო მეურნეობის სასწავლებლები. თბილისის (ეხლა მე-6 ე ტეხნიკუმი), ქუთაისის, ლანჩხუთის, მერატის და წინანდღვარის, იმ პირობით, რომ ხარჯებს სამეურნეო საჭიროებისათვის გასწევს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი თავისი საშუალებებიდან, პირადი შემადგენლობის შენახვა კი ეკისრება განათლების სახალხო კომისარიატს.

◆ პავლე ინგოროყვას მოხსენება: „შოთა რუსთაველი“. მთავარ სახელოვნო კომიტეტის თაოსნობით პარასკევს, ივნისის 23—ს, პირველ სახელმწიფო კონსერვატორიაში პავლე ინგოროყვა გაიმეორებს მოხსენებას: „შოთა რუსთაველი“ (პოეტის ვინაობა და ცხოვრების დრო) მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. ბილეთების ფასი 100 ათას მანეთიდან—10 ათას მანეთამდე. ბილეთის შეძენა შეიძლება მთავარ სახელოვნო კომიტეტში (ნარკომპროსში) მდივანთან, მოხსენების დღეს კი კონსერვატორიაში დილის 11 საათ.—2 საათამდე და საღამოს 7 საათიდან.

— იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების ათი წლის თავის აღნიშვნა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობის ინიციატივით შესდგა საორგანიზაციო ბიურო, რომელიც მიმდინარე წლის 25-ს მოაწყობს გამოჩენილი პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის აწ განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების ათი წლის თავი. აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდს ბიუროში შედიან წარმომადგენლები განათლების კომისარიატის, წ.-კ. გამ. საზოგადოების, ქალაქის თვითმართველობასთან არსებული განათლების განყოფილების, ციკავშირის, ხელოვანთა კავშირის და სხ. პირველი კრება შესდგა 14 ივნისს. მეორე კრება დანიშნულია დღეს, 17 ივნისს, დღის 1 საათზე წ.-კ. გამ. საზ. ბინაზე.

◆ დიდი სალიტერატურო საღამო სახალხო სახლში. დღეს, ივნისის 17-ს სახალხო სახლში იმართება დიდი სალიტერატურო საღამო ოთხ განყოფილებათ. ს. ვეხტანგ კოტეტიშვილი წარმოსთქვამს სიტყვას: „სურამის ციხე“. წარმოდგენილი იქნება ცნობილი შარჟი „სოფლის ფერშალი“, ავტორის ალ. ჟორჟოლიანის მონაწილეობით. ლექსები, საამდროვო კუპლეტები, სიმღერა, სცენები მონაწილეობენ: ვასო აბაშიძე, დუტუ მეგრელი, ნ. გოცირიძე, მიხ. ჭიაურელი, ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, იასამანი, ი. მჭედლიშვილი, ობოლი მუშა, ს. ფაშალიშვილი, ხარტიონ ვარდოშვილი, დემნა შენგელაია, ცნობილი მომღერალი ვ. შარაშიძე და სხ. ბილეთების ფასი სახალხოა.

◆ ბაღი „მუშტაიდი“. თბილისის უბნის კულტურულ განყოფილებამ გახსნა საზაფხულო სეზონი ბაღი „მუშტაიდში“. ყოველ საღამოს დაუკრავს **სამხედრო ორკესტრი.** აგრეთვე გახსნილია უფასო სამკითხველო. არის მრავალი გასართობები—იმართება ქართულ-რუსული წარმოდგენები ხელმისაწვდომ ფასებში. ყოველ კვირა იმართება დიდი გრანდიოზული სახალხო სეირნობები. ბაღში შესვლა უფასოა, ბაღი განათებულია.

ეუა დღე ქარხანაში

გრიალი ჩქარი და ფრთა მედგარი—
სიცოცხლის ქნარი ღვედებს ათრთოლებს,
მანქანის რგოლებს სდის ორთქლის ღვარი
და ზლაზნით ქარი შორს მიაჭროლებს.
შრომაში თვრება მრავალი ხელი
გულის თქმა ცხელი სწვავს ქარხნის მილებს;
არ ვგრძნობთ ტკივილებს და სუნთქვა ნელი
ოფლიან მკერდის ნაოპს აგრილებს.
ქურა ცეცხლს აქსოვს საერთო ხმაურს
და შიგ სწვავს ტრაფარს კბილანა სწრაფი,
სიცოცხლის ძაფი ჰკრავს ხმებს უცნაურს
და რისხვის ხმაურს სცემს შრომის დაფი.
ვიშ, რა კარგია! თან ლურჯ ხალათებს
შრომის სუფევის ასველებს ზეთი,
ყოფა ასეთი სულს აფოლადებს—
ო, აღმაფრენა ერთია, ერთი!..
ქმნილავს ძატორი და ქარხნის გული
ცეცხლით მოცული არ გრძნობს ობლობას;
უმეცდობას გზა უძევს რთული,
დღეს მანქანები გვიცხადებს ძმობას.
და აღარ გვინდა სხვა მეგობარი
თუ ენდო ბარი ვულკანის სუნთქვას!
მანქანას გულქვას უყვარს ხარხარი,
დე, გრძნობა მოსულს რაც უნდა სულ თქვას.
ჩვენ, რ ინის ძმები სულ გვეყვარება,
მათ შედარება არც გვინდა სხვაზე,
შეწყობილ ხმაზე კრთის ეოვარება
შეკრული სალტით ბორბლების ქვაზე.
შრომის ჯარი კი ოფლში მკერდს აღნობს
თან გრძნობებს ათრობს ცეცხლის ქარია,
შრომის არია იპყრობს ცის ტატნობს
და გვიხარია ო, გვიხარია!..

იონა ვაკელი

ნათესების მდგომარეობა ჩვენში

(ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებიდან).

გორის მაზრაში (15 აპრილიდან—15 მაისამდე) ნათესები შემდეგ მდგომარეობაში იყვნენ (ხუთ ბალიანი სისტემით:

სიმინდის—საშუალოზედ კარგი	(4)
შემოდგ. პური—კარგი	(4,6).
შემოდგ. ქერი—საშუალოზედ კარგი	(4).
შემოდგ. ჭვავი—კარგი	(4,5).
გაზაფხ. პური—საშუალოზედ კარგი	(4)
გაზაფხ ქერი—საშუალოზედ კარგი	(4)
გაზაფხ. ჭვავი—საშუალოზედ კარგი	(4)

შორაპნის მაზრაში (15 მაისისთვის) როგორც შემოდგომის ისე გაზაფხულის ნათესები, კარგ მდგომარეობაში იყვნენ, ვენახები საგრძნობლად დაზარალდა ჭრაქისაგან და ობისაგან.

ლეჩხუმის მაზრაში (1 ივნისისათვის) შემოდგომის ხორბლეულის ნათესებს კარგი პირი უჩანთ. გაზაფხულის ნათესის, მეტადრე სიმინდის ზრდას ხელი შეუშალა ამოსვლის შემდეგ დამდგარმა გვალვამ, თუ ასე გაგრძელდა, სიმინდის მოსავალი ძალიან დაქვეითდება.

თბილისის მაზრაში (1 ივნისისათვის):

სიმინდი—საშუალო	(2,8)
შემოდგ. პური—საშუალო	(2,8)
შემოდგ. ქერი—საშუალო	(3)
შემოდგ. ჭვავი—საშუალო	(3)
გაზაფხ. პური—საშუალო	(3,3)
გაზაფხ. ქერი—საშუალოზედ კარგი	(3,8)
შვრია—საშუალო	(3)
ფეტვი—კარგი	(4,0)
ლობიო—საშუალო	(3)
კართოფილი—საშუალო	(3,4)
ბოსტნეული—საშუალოზე კარგი	(4,2)

საბჭოთა მართლმსაჯულება

ა. წ. 11 ივნისს უზენაეს რევტრიბუნალმა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე გ. ჩხეიძე, წევრნი მ. ჩოდრიშვილი და ვ. ბოლქვაძე, საზოგადო ბრალმდებლის შოთა დადიანის და საზოგადო დამცველთა გელაზაროვის, კანდელაკის და ანდრონიკოვის თანადასწრებით მოისმინა საქმე მოქ. ლაქერა ეფრემ დავითის ძე ჩალატაშვილის, გიორგი ქრისტეფორეს ძე თუშმალოვის, არისტაკის საკის ძე პაპოვიანცის, მირონ ლაზარეს ძე ტაბლიაშვილის, აირაპეტ შაქროს ძე ტერ პოღოსიანცის და სიკო მიხეილის ძე როსტიაშვილის, რომელთაც ბრალდებათ: პირველ ორს ის, რომ მათ თუშმალოვმა და ჩალატაშვილმა მოილაპარაკეს წინასწარ ერთმანეთში და შეთანხმდნენ მოეხდინათ რაიმე ბოროტმოქმედება და ამიტომ გაეუმჯობესებინათ თავიანთ ეკონომიური მდგომარეობა. ამ შეთანხმებით მათ დაიქირავეს ცარიელი დუქანი რიადოვის ქუჩ. № 7, ვითომ ფურნის გასაღებათ. შიგ დაქირავებულ დუქნის სარდაფში მოამზადეს სასაფლაო განზრახულ მსხვერპლის დასამარხად, რამოდენიმე დღის შემდეგ მიიყვანეს მეურმე ს. მარტყოფის მცხოვრები გაბრიელ ჩინაშვილი შეშით, ჩაიტყუეს შიგ და მოკლეს რკინის კეტით, რომელიც თუშმალოვმა ჩაარტყა თავში, ჩინაშვილმა იქვე განუტევა სული. მერმე მოკიდეს ორივემ ხელი ერთმა თავში, მეორემ ფეხებში და ჩაგდეს წინდაწინ მომზადებულ საფლავში. ამის შემდეგ წაიღეს ურემი ხარებით, ურემი ტკვარში გადააგდეს, ხარები დაკლეს, ძვლები გამოაცალეს და ხორცი მიჰყიდეს მეძეხვეებს ტაბლიაშვილს, ტერ ჰოღოსიანცს და როსტიაშვილს.

მეძეხვეებს როსტიაშვილს, ტერ-ჰოღოსიანცს და ტაბლიაშვილს ბრალდებათ ის, რომ მათ იყიდეს თუშმალოვისაგან დაღ დაუსმელი ხორცი, რაც იყო უკანონო, მხოლოდ მათ არ იცოდნენ, რა გზით შეიძინა ეს ხორცი თუშმალოვმა.

მილიციონერ პაპოვიანცს, რომელიც თუშმალოვმა რამდენჯერმე დაჰპატიჟა ღვინოზე, ბრალდება სამსახურებრივი დაუდევრობა, რითიც მან ხელი შეუწყო ამ ბოროტმოქმედების ჩადენას.

ბრალდებულებმა თუშმალოვმა და ჩალატაშვილმა თავი დამნაშავეთ აღიარეს და თანახმად ამ აღიარებისა და საქმეში ჩართულ საბუთებისა სასამართლომ ბრალდება წამოყენებული ზემოხსენებულ მოქალაქეთა წინააღმდეგ დამტკიცებულად სცნო და ამიტომ მიუსაჯოს მათ შემდეგი: ყოფილიც. პაპოვიანცს მიესაჯოს ერთი წლით გამასწორებელ სახლში დაპატიმრება, პირობით. მეძეხვეებს როსტიაშვილს, ტერ-ჰოღოსიანცს და ტაბლიაშვილს მიესაჯოთ თითოს თითო წლით გამასწორებელ სახლში დაპატიმრება პირობით. ყველა მათდამი მილიციის მიერ ჩამორთმეულ ნივთებს ექმნას კონფისკაცია და აგრეთვე მათი ძეხვის ქარხნის ყველაფერი მოწყობილება—ინვენტარი იყოს ჩამორთმეული. ყველაფერი ეს გადაეცეს სათანადო დაწესებულებას. იქნას განაღდებული და გადაეცეს დაზარალებულ გაბრიელ ჩინაშვილის ოჯახს. ბრალდებულებს გიორგი თუშმალოვს, 25 წლისას, თბილისის მოქალაქეს და ეფრემ დავითის ძე ჩალატაშვილს, 18 წლისას, სიღნაღის მაზრის სოფ კარდანახის მოქალაქეს ჩამოერთვას ყოველივე ქონება დაზარალებულ გაბრიელ ჩინაშვილის ოჯახის სასარგებლოდ და მიესაჯოთ უმაღლესი სასჯელი სიკვდილით დასჯა—დახვრეტა.

პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება „ვეფხის-ტყაოსანზე“

კვირას, 4 ივნისს, დილის 11 საათზე, ხელოვანთა სასახლეში შესდგა საქართველოს საისტ. და საეთნოგ. საზოგადო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მომგეგზიანი ლატარია

საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ

სცადეთ თქვენი გედი, დაეხმარეთ დამშეულ ძმებს.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი აწყობს დიდ მომგებიან ლატარიას, წესები ლატარიისა და გილეთების შეძენის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

4—3

ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

შეადგენს ისტორიული ცნობები ხვარაზმთა შესახებ, რომელთა მიხედვითაც, შესაძლებელი ხდება ვსცნოთ პოეტის მიერ ნაწარმოების დაწერის დროის terminus ante duem non —1196 წელი, ხოლო post duem non—1206 წელი. ყველაზე ძლიერი ხვარაზმიდების დინასტია იყო მე-IV-ე, უკვე სპარსეთის,—დინასტია, ოუმცა ხან მოკლე, მაგრამ ყველაზე ძლიერი და განსაკუთრებით ძლიერი კი—1196 წელს, რომლის აღრე არ უნდა იყოს დაწერილი „ვეფხვის ტყაოსანი“, ხოლო თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს უმაღლეს წერტილამდე განვითარებისა და კულტურულის აყვავების ხანის ბოლო საზღვარში იყო 1206 წელი, რომელიც რამდენიმე—ე. ი. სულ 5—6 წლით წინა უსწრებს თამარის გარდაცვალებას, მაშინ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პოემა არ შეიძლება დაწერილი იყოს 1206 წლის უგვიანეს.

მეცნიერმა კრიტიკას ქარცეცხლში გაატარა აკად. ნ. მარრის დებულებანი პოემის სიუჟეტის წარმოშობის შესახებ, რომლებიც ბუმბერაზ მეცნიერს სხვა და სხვა დროს გამოუთქვამს, და მისივე ახალი-კულტურულ-ისტორიული პრობლემა, სადაც სხვათა შორის გამოთქმულია აზრი რუსთველის მაჰმადიანობის შესახებ და ცხად ჰყო ნ. მარრის ჰიპოტეზების უსაფუძვლობა, სხვა და სხვა საყურადღებო ფაქტების მოყვანის საშუალებით.

პატივცემული მეცნიერი, უფრო ემხრობა პოემის სიუჟეტის წარმოშობის საკითხში იმათ აზრს, რომლებიც „ვეფხის ტყაოსნის“ სიუჟეტს მარულ აღმოსავლურ ამბად სთვლიან, ანუ უკეთ, იმ აზრს, რომლითაც პოემის ფაბულა ითვლება ბარამიანის ტიპის სადვ გმირო ამბად. ამგვარი აზრი აქვს გამოთქმული ამ სტრიქონების მწერალსაც, რომელსაც ერთდროს ეკამათებოდა პატივცემული აკადემიკოსი ნიკო მარრი პოემის წარმოშობის საკითხში, იხ. Н. Марр Тексты и Pos., книга XII Витязь в Барсовой коже. Культ женщины и рыцарство в поэме. Стр. II да XL, § 9.

ამნაირად პატივცემული მეცნიერის მოხსენების შემდეგ, მეტი მნიშვნელობა ეძლევა იმ სიტყვებს, რომლებიც გამოთქმული იყო ჯერ კიდევ ამ 19 წლის წინად: „მართლა და რაგასაკვირველია“, ვამბობდით ჩვენ, „ყოფილიყო გავრცელებული „ვეფხვის-ტყაოსნის“-ებური ზღაპრული ამბები იმ დროინდელს საქართველოში, სადაც, როგორც სუყოველგან, აღმოსავლეთის ხალხებიდგან შემოდიოდა და ვრცელდებოდა უძველესი ზღაპრები და მოთხრობები ინდოეთისა და არაბეთის შესახებ, თან ზეპირ-გადმოცემით, თან ლიტერატურის საშუალებით? იმ დროინდელი სპარსული ლიტერატურა იყო მთელის აღმოსავლეთის ფანტაზიისა და ოცნების ნამდვილი საღარო: უამრავი მოთხრობები, ზღაპრულის, ანუ რომანულის შინაარსისა, ტარიელისა და ავთანდილისებური საგმირო საქმეები, რომლებიც მოწონებული იყო მთელს აღმოსავლეთში და ნამეტურ დიდ ირანში, და რომლებიც დიდის სისწრაფით ვრცელდებოდა მთელს მსოფლიო ლიტერატურაში, რა თქმა უნდა, გავრცელდებოდა და ჩამყნებოდა ისეთს გმირულსა, საოცნებო და საზღაპრო ქვეყანაში, როგორიც უნდა ყოფილიყო თამარის დროის საქართველო, რომლის კულტურული ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული სპარსეთთან. (იხ. ძველი საქართველო, 1 ლი ტომი, ი. აბულაძის რუსთველის „ვეფხის-ტყაოსანი“ გვ. 82 და შემდეგი).

პატივცემული მეცნიერის მოხსენების უფრო საცილობელ ადგილად უნდა ჩაითვალოს ჩვენის აზრით, ლიტონი განცხადება იმისა, რომ ვეფხის-ტყაოსნის ამბავი არას შემთხვევაში არ შეიძლება **იყოს „ძველი ს ძველი“, ისევე, როგორც იგი არ შეიძლება იყოს „სპარსული“**. ამბის სიახლის ერთ მთავარ ფაქტად მეცნიერს მოაქვს ის ცნობა, რომ ძეგლში ინდოელები მონგოლებად არიან გამოყვანილი, რასაც ადგილი ჰქონდა არა უადრეს მე-12 ე საუკუნის დასასრულისა და მე-13 ე საუკუნის დასაწყისისა.

მაგრამ მარტო ამით და, თუნდა სხვა მსგავსი თითო ოროლა ცნობებითაც, ისეთი რთული საკითხის გადაჭრა, როგორიც არას ვეფხის-ტყაოსნის ამბის გაჩენის დრო, შეუძლებელია. აგრეთვე შეუძლებელია სადაურობის საკითხის გადმორკვევა თუნდა იმის მიხედვით, რომ ამბავში სპარსელები ცუდად არიან მოხსენებული.

ვეფხის ტყაოსნის მოთხრობა იმ სახით, რა სახითაც მას ჩვენამდი მოუღწევია ყველაზე უწინ მისაღები სპარსულად, ანუ ყოველ შემთხვევაში, არაკის დიდი ნაწილი წმინდა სპარსულია.

სულ რომ არა იყოს რა, ამ ნაწარმოებში პირის პირ დგანან ერთის მხრით—საღმრთო იდეალთვის მებრძოლნი ტარიელ, ავთანდილ, ფრიდონ, მეორე მხრით მათნი მოპირდაპირენი დევები და ქაჯები—უკანასკნელებს დამარცხება პირველთა მიერ მოასწავებს კეთილის ბოროტზე გამარჯვებას, და აკი ფატმანის პირითაც გვაუწყებს პოეტი: „კეთილმან სძლია ბოროტსა, არსება მისი გრძელიაო“.

საქართველოს ოქროს ეპოქაში ნამეტურ ეტანებოდენ სადევგმირო ამბებს, რის მიზეზიც გახლდათ ჩვენის წარსულის რაინდული ხასიათი. ბუმბერაზობა და გოლიათობა ძალიან მოწონებული იყო სახელმწიფოებრიობის შექმნისათვის ბრძოლის დროს, და ამისი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ძვირად თუ რომელსამე ერს გამოუჩენია სხვა ერზე კულტურულის გავლენის ისეთი ძლიერება, როგორიც სპარსეთმა საქართველოზე გამოიჩინა: ჩვენის წარსულის ლეგენდარული ხანა და საგმირო ამბები ამისი აშკარა მაჩვენებელია.

როგორც მე უკვე გამოვარკვიე ჩემს ნაშრომში, ირანის სადევ-გმირო ამბები, რომლებიც მოუთხრობდენ სამეფოდ მოწოდებული პირების საგმირო საქმეებს, ძალიან მოწონებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ოქროს ეპოქაში, როდესაც უმაღლეს წერტილამდი განვითარდა ქართული კარის მწერლობა. კარის მწერლობის განვითარებას კი საეკეთესოდ შეუწყო ხელი ეთეროვანის თამარის პიროვნებამ.

მაგრამ, ყოველ ეჭვს გარეშეა, როგორც ამას პოემის შინაარსის შესწავლაც მოწმობს, ის რომ ჩვენ გვაქვს საქმე აქ მაჰადიანურ, არაბულ სპარსულ მოთხრობასთან.

ამ უცხო ხელმწიფეების შესახებ მაჰმადიანური ამბიდან უნდა იყოს პოეტისთვის ნაანდერძები—თქმულება არაბეთისა და ინდოეთის გმირთა შესახებ, წმინდა სპარსული ამბები და მასთან ჩვეულებრივი ცხოვრების მიმდინარეობა, როგორიცაა—ნავროზობა, ფატმანისა, გულანშაროისა, ზღვათა სამეფოისა, მოლაზარზარისა და ფრიდონის გარშემო შემოკრებილი ამბების შესახებ მოთხრობები.

ყველა ეს ყოველ ეჭვს გარეშეა და სწორედ ამან გვაიძულა ჩვენ გვეთქვა, რომ ვეფხის ტყაოსნის ფაბულა, იმ სახით, რა სახითაც იგი წარმოდგენილია ვეფხის-ტყაოსანში,—უნდა იყოს ერთი ერთი აღმოსავლური, სახელდობრ არაბული თქმულებათაგანი, რომელიც გამომუშავებულია გამაჰმადიანებულ სპარსეთში.

მაგრამ საკითხს ართულებს ის გარემოება, რომ ამ უცხო ხელმწიფეების შესახებ უძველეს ამბებში ერთის მხრით,—უნდა იყოს შეტანილი და ხელოვნურად შეკავშირებული მოთხრობის მთავარ ჩონჩხთან და ამასთან განსაცვიფრებელი სიმეტრიით დაწყობილი თვით ავტორის მიერ სხვადასხვა ნაწყვეტები, ანუ ზოგიერთი კერძო ეპიზოდები, რომლებიც ავტორს აგრეთვე ესესხებია სხვა ნაწერებიდან—და მეორე მხრით—ქაჯების შესახები თქმულება, რომელიც წმიდა ქართული ლეგენდის ხასიათს ატარებს და სპარსულ ამბებს კი სრულიად ეუცხოება.

იხ. ამის შესახებ ჩვენი ტერმინის „ქ ჯ“-სა და აგრეთვე ქაჯების შესახები თქმულების ხასიათის ახსნა.

ამის გამო აკად. ნ. მარრი ამბობს: Связь творения Шоты с грузинской культурной почвой не только формальная, языковая, но и идейная: при том вопрос не о материальной стороне сюжета, а об его одухотворении, перевоплащении в местные представления и образы. Это наблюдается даже в подробностях, напр., как справедливо отметил Ю. Абуладзе, в описании страны злых духов. Ю. Абуладзе пишет: фактическая часть о каджах должно быть сильно изменена под влиянием Грузинской легенды, იხ. Н. Марр Грузинская поема Витязь в Барсовой шкуре и новая культурно-историческая проблема, стр. 427 და იქვე შენიშვნა 1 ლი.

ბოლოს და ბოლოს პოემის შინაარსის დაახლობით შესწავლა მოწმობს, რომ ამ ნაწარმოების მთავარ ჩონჩხად, რომელიც ძველი ზღაპრის ნაშთს წარმოადგენს, უნდა ცნობილ იქნას ის აღმოსავლეთის უცხო ხელმწიფეების შესახები ზღაპარი, და ამ ზღაპარში კი წარმოდგენილია სწორედ ირანის ბუმბერაზების მსგავსი გმირები—ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონ, რომლების მოპირდაპირეებადაც პოემაში გამოდიან ქაჯები და დევები და საშინელი მხეცები. ეს ასეა, მაგრამ საკითხი კიდევ უფრო რთულდება მით, რომ, ავტორის პირადი ერუდიციისა და ნაკითხობის გავლენით, უნდა მომხდარიყო ძირითადი ცვლილებები ვეფხის-ტყაოსნის ფაბულაში. ამ ნაწარმოებში უკვე აღნიშნულია და პირდაპირ ნაჩვენები ნეოპლატონური წყარო და აგრეთვე ალეგორიზმები და პოეტური ფიგურები, რომლებიც ამშვენებენ და სიბრძნის დაუშრეტელ წყაროდ სთვლიან პოეტის ქმნილებას და მასთან წმიდა საქრისტიანო წყაროდან ამოღებული ფრაზები.

ყველა ამასთან ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ „ვეფხის ტყავი“, რომელსაც ატარებს ტარიელ სარიდანის ძე, არის აგრეთვე რუსტემ პელოტანის სამოსელიც, მაგრამ „ვეფხი“, რომლის ტყავისაგან ტარიელს „კაბა ემოსა“, ვეფხის-ტყაოსანში უკვე ულმობელის მიჯნურის განსახიერებაა.

ყველა ამის მიხედვით, ჩვენ დღეს კიდევ უფრო დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ ის, რაც პოემის შესწავლის იმ თავითვე გვითქვამს. სახელდობრ:

„თვალწინაც რომ გვედვას ის უცხო ხელმწიფეების შესახები ამბები, რომლებიც პოეტს ლექსად გარდაუთქვამს, ჩვენ მსგავსებასაც ვერ ვეპოვიდით მასში ისეთ დიდებულ ნაწარმოებთან, როგორიც არის რუსთველის „ვეფხის-ტყაოსანი“: ის იყო ამბად ნათქვამი, ეს კი წყობილი მარგალიტია, ის იყო ჩონჩხი, ეს კი გენიის უმაღლესი და უმშვენიერესი ნაწარმოებია“.

ამიტომაც საკითხი რუსთველის მიერ აღებული ამბის სადაურობის შესახებ მეტს მეტად რთულია და ძნელი და მისი, მეცნიერის მიერ მოტანილი ფაქტების მიხედვით, გადაჭრა, შეუძლებელია.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რუსთველს თავისი ნაწარმოების სიუჟეტად აუღია რაღაც უძველესი, ბარამიანის ტიპის აღმოსავლური სადევ გმირო ზღაპარი, რომელიც ფართო ადგილს აძლევდა მის შემოქმედების ნიჭსა და განუსაზღვრელ გრძნობას და აღუყვანია, თავისი საკუთარი გენიის წყალობით, მხატვრობის უმაღლეს ხარისხამდე. დანამდვილებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ ის აღმოსავლეთის მოარული ზღაპრული ამბავი იყო, და, როგორც ამგვარი, იგი წარმოადგენს მთელის აზიური აღმოსავლეთის ფანტაზიის სინტეზს.

უმეტეს ნაწილად მეცნიერის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია პოეტის ეპოქისა და პიროვნების შესახებ, ჩვენის აზრით, მტკიცეა და შეურყეველი.

სრულ ჭეშმარიტებად მიგვაჩნია ის, რომ რაინდობა და ქალის კულტი, სახელდობრ—ის მაღალი აზრი და შეხედულება სქესებრივ თანასწორობაზე, როგორიც ვეფხის-ტყაოსანშია, მხოლოდ თამარის ეპოქის დამახასიათებელია.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ის მოვლენა, რომ ვეფხის-ტყაოსნის საკითხის გაშუქებას ხელი მიჰყო ჩვენმა ნიჭიერმა ისტორიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც საუკეთესოდ შესძლო გაქარწყლება იმ შემცდარი აზრისა, რომლითაც შოთას მე-14 ე საუკუნეს აკუთნებდნენ.

მადლიერმა საზოგადოებამ უხვი ტაშის ცემით დაიჯილდოვა პატივცემული მეცნიერი.

იუსტინე აბულაძე.

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარულათ.

ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტებს, ყველა პოლიტგანათლების ორგანოებს.

1. ს. კ. პ. ც კ. წინადადებას გაძლევთ თქვენ მომდინარე ზაფხულის ხანებში მიღოთ ზომები სამკითხველოების აღდგენა—შექმნისათვის, რომელიც დასაყრდნობ პუნქტად უნდა იქნეს მიჩნეული კომუნიზმისა და სოფლის მეურნეობის საპროპაგანდოთ.

2. არ გაგიტაცოთ სამკითხველოების რიცხვის გამრავლების სურვილმა, მომდინარე 1922 23 წელში, სამკითხველოები უნდა გაიხსნას მაზრის უმთავრეს პუნქტებში იმ მიზნით, რომ სამკითხველოებმა შეუწყვეტლივ და ნორმალურათ იარსებოს.

3. ახლად მოსაწყობ და უკვე არსებულ სამკითხველოებს თუ მეტი არა, ერთი პარტიული მუშაკი მიუჩინეთ მუდმივათ მაინც.

4. მიიღეთ სასწრაფო ზომები სამკითხველოების ფინანსიურათ უზრუნველყოფისათვის რისთვისაც საჭირო არის შემდეგი ზომებისთვის მიმართვა:

ა) მიეცეს სამკითხველოებს ფინანსიური დახმარება ადგილობრივი მაზრის აღმასკომის სახსარიდან, დაევალოს აგრეთვე კოოპერატივებს რომ მათაც გაუწიონ აგრეთვე დახმარება; ყოველივე ეს იმ პირობით უნდა მოხდეს, რომ ხელმძღვანელის როლი აუცილებლად პარტიისა და პოლიტ განათლების ხელში დარჩეს.

ბ) მჭიდროთ დაუკავშირეთ სამკითხველოებს, სოფლის კლუბები, სახალხო სახლები, ახლო მყოფი ორგანიზაციები და დაწესებულებები (კოოპერატივი და მიწად განყოფილებები).

5. მოაწყვეთ სამკითხველოებთან კოლექტიური და ინდივიდუალური ხელის მოწერა გაზეთ—„მიწის მუშაზე“, „კომუნისტზე“ და სხვა საბჭოთა ორგანოებზე.

6. სამკითხველოებმა წესათ გაიხადონ: ხმა მაღლა წაკითხვა „მიწის მუშის“, პოპულიარული სასოფლო სამეურნეო წიგნაკებისა, აგრეთვე წაკითხვა და გარჩევა მთავრობის მიერ გამოცემულ დეკრეტებისა და სხვა.

7. სამკითხველოებში სამუშაოთ შემოკრიბეთ ადგილობრივი ძალები კომიაჩეიკების, სამიწადმოქმედო განყოფილების, პოლიტგანათლების ახ. კომკავშირის, ქალთა განყოფილებების და სხვა.

8. ყოველივე ამის შესრულების ვადათ ამ ცირკულიარის მიღებიდან გინიშნავთ ერთ თვეს. მიღებულ ზომების შესახებ დაუყონებლივ აცნობეთ ციკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას.

ც. კ. მდივანი **ოკუჯავა.**

სააგიტაციო საპროპაგანდო განყ. გამგე **ა. კვირიკაძე.**

ზემო-ზოგი.

(გორის მაზრა)

ა. წ. 11 ივნისს შესდგა გორის რაიონის კომიაჩეიკების პასუხისმგებელი მდივნების თათბირი, რომელსაც დესწრო 29 კომიაჩეიკის მდივანი, 3 რაიკომიდან, სულ 32. თათბირი გახსნა რაიკომის მდივანმა ამხ. ალექსანდრე ცაბაძემ; თათბირის მდივნათ არჩეულ იქნა ამხ. ხორენა ოგანეზოვი.

დღის წესრიგი: 1) მიმდინარე მოვლენა; 2) მოხსენება ადგილებიდან; 3) პასუხისმგებელი მდივნების და კომიაჩეიკის მოვალეობანი. მომენტზე მოხსენება გააკეთა ამხ. ცაბაძემ, რომელმაც უმთავრესათ აღნიშნა საბჭოთა ხელისუფლების საქმიანი ხხარეები, ე. ი. 15 თვის მოღვაწეობა საქართველოში. მან სახელდობრივ ჩამოთვალა საბ. მთავრობის მიერ დაწყებული და გაკეთებული არხები და ყველა სხვა მრავალი საქმიანობა. შემდეგ შეეხო მენშევიკების 3 წლის „შემოქმედებას“, აგრეთვე მოღალატურ მოქმედებას ბოლო ხანებში, როგორც აქ, ისე საზღვარ-გარედ. მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე. თათბირმა გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია.

შემდეგ გაკეთეს მოხსენება ყველა კომიაჩეიკების მდივნებმა თავიანთი ორგანიზაციის და სოფლების ცხოვრებაზე. სახელდობრ ილაპარაკეს: ალის, დუმაცხოვის, კლდისწყაროს, წაღლის, ჩორჩანის, საციხურის, ბრეძის, ატოცის, ავლევის, ფცის, აბისის, აბისის-თავის, ბერძენაულის, შაქშაქეთის, მოხისის, ქვენატკოცის, ნაბახტევის, სატიოს, აძვისის, ვაყის, ვარდის უბნის, ბრილის და სხვა სოფლების მდივნებმა. ყველა ამხანაგები ერთნაირათ აღნიშნავდენ გლეხების საუკეთესო სულიერ განწყობილებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ხოლო პარტიული მუშაობის შემფერხებელ მიზეზათ ასახელებდენ უმთავრესათ ინსტრუქტორ ორგანიზატორების უყოლობას.

ამის შესახებ თათბირმა დაადგინა: „ვინაიდან პარტიული მუშაობა უხელმძღვანელოდ ფერხდება მთელს რაიონში, ამიტომ საჭიროა რაიკომმა დაჟინებით მოითხოვოს მაზრიდან ინსტრუქტორ - ორგანიზატორი და აგიტ-პროპაგანდისტი“.

შემდეგ ამხ. ცაბაძემ გააკეთა ვრცელი მოხსენება კომიაჩეიკების და მათი პასუხისმგებელ მდივნების მოვალეობაზე, რის შემდეგ მუხლობრივათ განმარტა რაიკომის მიერ შემუშავებული ინსტრუქცია კომიაჩეიკების და მდივნების მოვალეობის შეჩახებ. თათბირმა ერთხმად მიიღო და დაამტკიცა წამოყენებული ინსტრუქცია.

დასასრულ ილაპარაკა ამხ. ნიკალა ნოზაძემ, რის შემდეგ თათბირი დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

ც.

პროვინციაში

დ. სალხინო.

1922 წ. 4 ივნისს სალხინოს შრომის ერთიანი სკოლის დარბაზში გაიმართა წარმოდგენა დამშეულთა სასარგებლოდ. წარმოდგენის დაწყებამდი მომენტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა კომკავშირის სააგიტაციო საპროპაგანდო განყ. გამგე ათანასე კოკაია.

დაბა სალხინოში არის შემდგარი 13 მაისიდან დამშეულთა დამხმარე რაიონული კომიტეტი, რომლის განკარგულებაში არის დრამატიული დასი. თავის არსებობის ხანაში შესძლო კომიტეტმა წარმოდგენების საშუალებით დამშეულთა სასარგებლოდ მოეგროვებია ორი მილიონი მანეთი. (2,000,000 მ.), რომელიც გაეგზავნა დამშეულთა სამაზრო კომიტეტს.

კომიტეტი პირველ რიგში მადლობას უცხადებს დრამატიულ დასს, ამხ. ჟენია გადილიას, ნინა ფიჩხაიას და ამბაკო წულაიას, აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც გვეხმარებიან საქმის მოგვარებაში. დამშეულთა კომიტეტი იმედოვნებს, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი შემდეგშიც გამოიჩენენ თანაგრძნობას დამშეულთადმი და თავის მუშაობას გაორკეცებენ დასის წევრებიც.

ა. კოკაია.

მთავროგის მოკმედეგანი და განკარგულეგანი

ბრძანება № 60.

ამიერ კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1922 წ. 15 ივნისიდან.

§ 1.

თამბაქოს გატანა საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრებიდან აკრძალულია გარდა ხელშეკრულებათა შესრულების იმ შემთხვევებისა, რომელიც დამტკიცებულია ამ.-კავ. სოც. საბჭ. რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარის მოადგილე—**გაჯინსკი.**

საქმეთა მმართველი—**გორჩაკოვი.**

პარტიული

— ორშაბათს, 19 ივნისს საღამოს 5 საათზე პროფკავშირების პატარა დარბაზში შესდგება განათლებისა და ხელოვნების მუშაკთა კავშირის ყველა კომუნისტ წევრების საერთო კრება, რაიც ეუწყება ყველა პარტიულ ამხანაგებს, რომელთა დასწრებაც აუცილებლად სავალდებულოა. (ამხ. უნდა გამოცხადდენ პარტიული ბილეთებით).

— საქ. კომ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიონული კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ შაბათს, 17 ივნისს ან ორშაბათს 19 ივნისს მე-2 რაიონული კომიტეტის აღმრიცხავ საინფორმაციო განყოფილებაში: 1) არაქელოვი ივანე, 2) არტამონოვი, 3) ბახტიაროვი სერგი, 4) ბეჟეტოვი გაბრიელ, ვედერკო ვასილ, 6) გრიკურაშვილ პავლე, 7) ჯანიბახჩიევი ალექსი, ისაკი, 9) ივანიშვილი, 10) კორკ ნოვა მარგო, 11) კირვალიძე პროკ ფი, 12) კრივიშვილი ივანე, 13) ლ გიანი ბაგრატ, 14) ლეჟავა სამუელ 15) მამიჩ მაქსიმე, 16) მოსესოვი ი სებ, 17) მატინიანი ტ., 18) მხიტ რიანი, 19) ოგანესოვი ნიკოლოზ, 2 პოლიაკოვი ე., 21) საფაროვი სერგ 22) პოპოვი ივანე, 23) საბო ვლად მერ, 24) სოხაძე სვიმონ, 25) ტეხ შვილი ბაგრატ, 26) ხაჩატუროვი ნე სეს, 27) იუსტუს რუდოლფ, 28) წ წუნავა ილია.

აღმრიცხავი საინფორმაციო განყ ფილება.

სარედაქციო კოლეგია.

გაუბედურებული დედა **სარა ფირანის ასული**, რძალი **სერაფიმა ივანეს ასული** და ძმა **ვალერიანე** აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ამა წლის 15 ივნისს ღამის 2 საათზე გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ანტონ ნიკოლოზის ძე ჭილაშვილი

გასვენება დიდუბის ეკლესიაში საკუთარი ბინიდან (ელისაბედის ქუჩა, № 37). 18 ივნისს დილის 10 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. (2—1)

დაღონებული ამხანაგები მძიმე გულის ტკივილით აცნობებენ ყველა ამხანაგ-მეკობრებს **იშვიათი, ხალვარელი და ძვირფასი ამხანაგის**

ანტონ ნიკოლოზის ძე ჭილაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. გასვენება დიდუბის ეკლესიაში საკუთარ ბინიდან (ელისაბედის ქუჩა, № 37) 18 ივნისს დილის 10 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. (2—1)

გაზეთის ტრესტი
საექსპედიციო განყოფილება

რუსთაველის პრსპ. № 24

საჭიროა კონტრაგენტი გაზეთების გასავრცელებლად თელავში, ჭიათურაში, ბორჯომში და მის რაიონებში. (5—4)

გაზეთის ტრესტი
კრინის გზების კიოსკების განყოფილება

თბილისი, გოლოვინის პრსპ. № 24.

გაიხსნა კიოსკები რკინის გზის შემდეგ სადგურებზე:

თბილისი, მიხაილოვი, შორაპანი, ზესტაფონი, სამტრედია, აბაშა ახალ-სენაკი, ქუთაისი, ფოთი, ბათომი.

სწარმოებს გაყიდვა: ადგილობრივ და სატახტო ქალაქების **გაზეთები და ჟურნალების, ლიტერატურულ წიგნების, საკანცელარიო და საწერ ნივთების.**

ამ დღეებში გაიხსნება კიოსკები აზერბეიჯანსა და სომხეთში.

მთავარი კანტორა იღებს გასავრცელებლად ყოველგვარ გამოცემას.

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ თანახმად ოლქის განკარგულებისა, ამა თიბათვის 20-დან სახ. კომისარიატებს, საბჭოთა და კერძო დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და სხვ., გამონაკლისის დაუშვებლად, ყოველგვარ რკინის გზათა ხვედრი ხარჯი გადახდებათ ნაღდ ფულად, ან იმისთანა ჩეკებით, რომელთა უზრუნველსაყოფად რკინის გზათა სალაროში წინადვე იქნება შემოტანილი საკმარი ფული.

აცხადებს რა ამას, რკინის გზათა სამმართველო სთხოვს ყველა დაწესებულებას, რომელსაც აქვს მიღებული ჩეკის წიგნაკები, დროზე შემოიტანონს სალაროში ამ წიგნაკების უზრუნველსაყოფად ხვედრი ფული, რათა 20 თიბათვის შემდეგაც შეეძლოთ ჩეკებით სარგებლობა, რადგან, თიბათვის 20-დან რკინის გზა ტვირთს ნისიად აღარ ზიდავს და ჩეკების წიგნაკები, რომელთა უზრუნველ-საყოფად წინადვე არ იქნება შემოტანილი ფული, გაუქმებული იქნებიან. (3—3)

ყინულს

უშვებს საყინულე ქარხანა ქალაქის სასაკლაოებისა 30.000 მანეთად ფუთს ადგილობრივ და 45.000 მანეთად მიტანით.

(3—1)

ქ. თბილისის მე-10 უბნის სახალხო მოსამართლე

(ტურგენევის ქ № 4) იწვევს მემკვიდრეებს გასაცხადებლათ თავიანთ უფლებისა ქონებაზედ გარდაცვალებულისა ანნა დომენიკის ასული სოკოლოვისა—ორი თვის განმავლობაში დღეიდან ამა განცხადებისა.

(1—1)

დაიკარგა

სტუდენტობის მოწმობა პ. კუხალაშვილის. გაუქმებულად ჩაითვალოს

ტირაჟი 10,000. ნ. დ. ს. ც. საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტეინის ქ. № 4.